სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ბელის მომწერლებმა წერილები ასე უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". ... გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 228 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 228

ორშაბათს, 21 ოქტომბერს, ქ. თფილისში, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ნაფიცი ვექილი

ლევან გიორგის ძე წერეთელი

რასაც გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმა მისი, ირაკლი წერეთელი, და ელენე დემოლონი და მისი აღმზრდელი დეიდები, ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეები. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე, არტილერიის ქუჩა, № 5.

ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი—წერეთლისა ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 21 ოქტომბერს ქ. თფილისში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მისი ძვირფასი

ლევან გიორგის ძე წერეთელი

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება იქიდანვე პარასკევს, 25 ოქტომბერს, დილის 9 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა დიდუბის სასაფლაოზე.

გულდათუთქული დედა მარო ალექსანდრეს ასული, ძმა ალექსანდრე (ხუტუ) აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოთ (ტრაღიკულათ) გარდაცვალებას

დორა (ცუცა) გუგუშვილისას.

გამოსვენება მოხდება 24 ოქტომბერს (დღეთი, ხუთშაბათს) 4 საათზე. დიდუბის ეკლესიაში. პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე. ბაქოს ქუჩა № 18

ღრმათ დამწუხრებული საქმრო ქორქ... რევია მწუხარებით აუწყებს თავის მეგობარ ნაცნობებს ტრაღიკულათ დაღუპვას თავის საყვარელ და დაუვიწყარ საცოლოს

დორა (ცუცა) გუგუშვილისას.

გამოსვენება მოხდება 24 ოქტომბერს (დღეთი, ხუთშაბათს) 4 საათზე. დიდუბის ეკლესიაში. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე. ბაქოს ქუჩა № 18

ისიდორე სოფრომის ძე და შვილები: თალიკო და სოსიკო ფარაზაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ პირველის—მეუღლისა და მეორეთა—დაუვიწყარ დედიკოს

ვერა ფარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ს. ცხრუკვეთში, მიცვალებულის საფლავზე, კვირას, 27 ოქტომბერს, დილის 10 საათზე. (3—2)

ქიათურის დრამატიული გაზგება და სცენის მოყვარეთა წრე აუწყებს საზოგადოებას, რომ დაუვიწყარი წევრისა და თანამშრომლის

ვერა ფარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე ქიათურის თეატრის დარბაზში კვირას, 27 ოქტომბერს, დილის 12 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.

მცხეთის რაიონული კოლექტივი ს. დ. მ. პარტიისა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და თანამგრძნობებს ძვილი პარტიული მუშის

გრიგოლ (გიორგი) გაბრიელის ძის ნოზაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან. დილის 10 საათზე, დღეს 24 ოქტომბერს წაასვენებენ წმინდა მარინეს ეკლესიაში და პანაშვიდის გადახდის შემდეგ დაკრძალვა მოხდება პეტრე პავლეს სასაფლაოზე.

მწუხარებით გულ მოკლული ტერენტი ლუკას ძე ლატარია და შვილები მირკა და მანია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, უდროოდ დაკარგულ ძვირფასი მეუღლის და დაუვიწყარ დედის კბილის ექიმის

ელენა თედორე სუგგუტინის ასულ ლატარიას

სულის მოსახსენებლად შაბათს ოქტომბრის 26 დღეთ 12 საათზე წმინდა სამების ეკლესიაში ქ. ოზურგეთში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი (2—1)

ნინა ივანეს ასული და მიხეილი იაგორის ძე ბულაცოვები შვილებით, თამარა ივანეს ასული და ალექსანდრე გიჯაძეები, მაზლი ნიკოლოზ და მულები მარიამ და ელენე ლაშხაურები გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და გარდაცვალებულის ამხანაგებს, რომ ს. მცხეთაში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი რძალი

მარიამ ივანეს ასული მაჩხანელი

დაკრძალვა ს. მცხეთაში 24 ღვინობისთვეს.

ღვინობისთვის 21-ში ს. მცხეთაში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მარიამ ივანეს ასული მაჩხანელი

რასაც აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს ღრმად დამწუხრებული მისი დანიშნული ალექსანდრე ივანეს ძე ლაშხაური, მისი დეიდაშვილი სოფიო ლაზარეს ასული და მამათილი ივანე იოსების ძე ლაშხაურები. დაკრძალვა მოხდება 24 ღვინობისთვეს ს. მცხეთაში, გამოსვენება დილის 10 საათზე.

ღრმად დამწუხრებული დედ-მამა, ექვთიმე და იულიანა არევ ძეები, დები ერმონია პ. ნკვეტაძისა და მართა თაზუკაშვილისა, სიძეები: არჩილ პანკვეტაძე და გიორგი თაზუკაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 26 ოქტომბერს ს. ვახანის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის, უსაყვარელესი შვილის და ძმის, მასწავლებლის

დავით ექვთიმეს ძის არევაძის

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ვლადიმერ ს. აბრამიშვილი, მშობლები სალომე და ალმასხან, ოტ. ქვარიანი, მამიდა ანა და ბიძია სამსონ ქ. აბულაძე, ბიძაშვილები: იაშა—მეუღლე ბარბარეთი და ბიჭიკო (გაბრიელი) აბულაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობებს, რომ 25 ოქტომბერს (ახ. სტ.) გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე

გაცია (საშა) აბრამიშვილის (ასული ქვარიანის)

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება პანაშვიდი ქ. ქუთაისში პეტრე-პავლეს ეკლესიაში და სასაფლაოზე.

დაიბეჭდა და ამ დღეებში გახსყიდათ გამოვა

ნოე ჟორდანიას ახალი ბროშიურა:

სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

ფასი ერთი მანეთი. აგენტებს და გამყიდველებს, ვინც წაიღებს არა ნაკლებ 50 ცალისა, დაეთმობათ ოცი პროცენტის დაკლებით. ფული წინდაწინ უნდა იქნას გადახდილი. საწყობი „ერთობის" რედაქციაში.

## ამიერ-კავკასიის ს. დ. ორგანიზაციებს

ამხანაგებო! საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა პარტიულ ყრილობის მოწვევა. ის სამ ნოემბერს უნდა გაიხსნეს.

ნახევარი წელიწადი გავიდა ჩვენი უკანასკნელი ყრილობის შემდეგ, მაგრამ თითქო მთელი საუკუნე გასულიყოს, იმდენად მდიდარი იყო ეს პერიოდი დიდი შემთხვევებათა და ცვლილებებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, მას შემდეგ გამოცხადდა დამოუკიდებელი ამიერ კავკასია, დაირღვა უკანასკნელი და წარმოიშვენ რესპუბლიკები—საქართველოს, არარატისა და ადერბეიჯანის.

მძიმე როლი დააკისრა ისტორიამ ჩვენ პარტიას ამ დროს განმავლობაში, რთული და მეტად საპასუხისმგებლო კითხვების გადაჭრა მოგვიხდა.

საბედისწერო და განცდის დღეებში, როდესაც სწყდებოდა ბედი ჩვენი აწმყოსი და მომავლისა, მაშინ, ამხანაგებო, თქვენი ხელმძღვანელი ორგანოს ყურის ყური თქვენკენ იყო მოპყრობილი... დავიწყეთ სახელმწიფოს აღმშენებლობა, რომელთაც სათავეში დგომა გვარგუნა ბედმა... ჩვენ მუდამ აზრთა და მოქმედებათა ერთობით ვიყავით ძლიერნი—მით უფრო ამ დიად წამებში იყო ძვირფასი და საჭირო საერთო აზრი სწორედ ისე, როგორც საერთო თავგანწირულება. და არა ერთხელ დაბადებულა მხურვალე სურვილი ყრილობის მოწვევისა, მაგრამ მძვინვარე ანარქია არ გვაძლევდა ამის შეძლებას. ძალაუნებურათ გვიხდებოდა ბრძოლა და სვლა იმ მიმართულებითა და გზით, რომელსაც გვიკარნახებდა აღლო დემოკრატიისა.

დღეს, როდესაც ჩვენი ცის ტატნობზე ოდნავ მაინც გადაიწმინდა და საშუალება გვეძლევა შევიკრიბოთ, ერთი მეორეს მოვუსმინოთ, ჩვენ ვეხწრაფვით აქეთქენ. ჩვენმა ყრილობამ მხედავრი უნდა დ ხდვას ჩვენ წარსულ ნამუშევარს, დაათვალოს აწმყო და გამოიმუშავოს გეგმა მომავალისა. მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვის გარკვევა და გადაწყვეტა მოგვიხდება ამ ყრილობაზე და საჭიროა წინასწარი მომზადება, რომ მისი მუშაობა ნაყოფიერი გამოდგეს.

მაშ ემზადეთ, ამხანაგებო, მომავალი ყრილობისათვის.

ყრილობისათვის შემუშავებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1) საოლქო კომიტეტის მოხსენება, 2) საკანტროლო კომისიის მოხსენება. 3) ეროვნულ საბჭოს ს. დ. ფრაქციის მოხსენება, 4) მთავრობის წევრთა მოხსენება, 5) დამფუძნებელი კრება და მისთვის კანდიდატების დასახელება, 6) აგრარული საკითხი, 7) მუშათა საკითხი, 8) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 9) ადგილობრივი თვითმართველობა, 10) პარტიული მუშაობა, 11) ინტერნაციონალი, 12) არჩევნები.

სახურველი და საჭიროა აღნიშნული კითხვები გახდეს ფართო მსჯელობის საგნათ ადგილობრივ პარტიულ ყრილობებზე მათ ყოველ მხრივ გასარკვევათ და დასამუშავებლათ.

ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარმოადგინონ წერილობითი წინადადება ამა თუ იმ კითხვის დღიურ წესრიგში შესატანათ არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა.

შენიშვნა: ყრილობაზე წარმომადგენლობა—ამიერ-კავკ. ს. დ. მ. ორგანიზაციების წესდების მე-12 მუხლით.

საოლქო კომიტეტი.

## ჩვენს გარშემო

ამიერ-კავკასიის ერების ბედი დიდათაა ერთმანეთზე დაკავშირებული. ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, რომელსაც მტერი და მოყვარე თანახმად იმეორებენ. მაგრამ აქედან შესაფერი დასკვნის გამოყვანა ღლემდე არავის სურს.

ბედის ერთიანობა მოითხოვს საერთო პოლიტიკას, საერთო ხაზს მოქმედებისას: ერთმანეთთან სოლიდარულ მუშაობას.

ჩვენ კი ამის ნაცვლად ვხედავთ სულ წინააღმდეგს. ამიერ - კავკასიის ხელმძღვანელები სულ სხვა და სხვა მხრით იხედებიან. ადერბეიჯანის ბეგები ოსმალეთის წინაშე მუხლმოდრეკილი სდგანან და ნური-ფაშის ბრძანებას ცის მანანისავით ელიან.

სომხის დაშნაკელები.. ეს ორპირი და ორგულური პარტია მუდამ ორმაგ პოლიტიკას აწარმოებს, ყველას ემრძვის და ყველას ელაქუცება, ყველას ემეგობრება და ყველას ღალატობს. უკანასკნელ ამბებზე ეს განსაკუთრებით ნათლად გამოაშკარავდა.

საქართველოში სომხეთის ქვეშევრდომია ნახევარი თუ არა, მესამედი მაინც არის თავშეფარებული. აქედან უნდა გვეფიქრა, რომ სომხეთი ამის შემდეგ ყველაზე ერთგულ და მეგობრულ განწყობილების მატარებელი იქნებოდა ჩვენი. მაგრამ დახეთ.. არ ვიცით, რა სახელი ვუწოდოთ ასეთ მეზობლობას, როცა ჩვენი საზღვრების შესახებ ისინი... ოსმალეთს უთანხმდებიან...

ოსმალეთი და სომხეთი... წარმოგიდგენია მკითხველო ასეთი კომბინაცია? ოსმალეთი და სომხეთი საქართველოს წინააღმდეგ, მისი დემოკრატიის წინააღმდეგ.

ჩვენ გვესმის ოსმალეთის ზრახვა—მისთვის დემოკრატიულ მეზობლის დამხობა ისტორიული მისწრაფებაა.

მაგრამ სომხეთის დაშნაკელთათვის? ოსმალეთი ხომ მათ თავზე ხელს არ მოუსვამს. განა არ იციან, ვერ ამჩნევენ, რათ უთანხმდება მათ ოსმალეთი ჩვენი საზღვრების შესახებ? განა ასეთ პროვოკაციის ანკესზე წამოგება ეს განზრახ ამ პროვოკაციაში ფეხის ჩაბიჯება არ ნიშნავს?

ჩვენ გვესმის, როცა ბეგები ადერბეიჯანის ზეიმს უმართავენ ერევნის მმართველებს—რათა მეორე დღეს სისხლის ნადიმი გააჩაღონ რომელიმე ნუხაში, შუშაში, ან ბაქოში. სისხლი და შამპანიური აქ ერთი მეორეს უცვლის ადგილს და ყოველ ზეიმს მოყვება ახალი ტალღა ლტოლვილთა, რომელნიც საქართველოს მოაშურებენ.. ადერბეიჯანელთ ამიერ კავკასიაში არ აქვთ სხვა მიზანი, გარდა ოსმალეთის ავანგარდობისა. მათი ისტორიული გზა და მათი პოლიტიკის ხაზი სტამბოლში წყდება, ინასკვება, იქვე თავდება. ჩვენც ვადგევართ ჩვენს გზას—გერმანიასთან კავშირს, დამოუკიდებლობის განმტკიცებას და დემოკრატიულ წყობილების დამკვიდრებას.. ვადგევართ ამას აშკარად გულახდილად დაუფარავად. ჩვენ არ შეგვიძლია დღეს გერმანიას ვეძმოთ, ხვალ თათრებს ველაქუცოთ, ზეგ სომხეთს ვუთხრათ ქება, მაზეგ—მტრულად მაზე დავუგოთ... ეს ალმოსავლეთური პოლიტიკა მატყუარობისა, პირფერობისა, ეს მზაკვრობა—დამამცირებელი ერის, ხალხის, მართლობის, შორს არის საქართველოს დემოკრატიისაგან.

შეიძლება ამ პირდაპირობის გამო ბევრი კიდეც გადაგვემტეროს: მოლაქუცეს ყოველთვის მეტი ყავს მეგობარი. მაგრამ ჩვენი დემოკრატია ასეთს გზას მაინც არ გადაუხვევს.

პირნათლათ ყოფნა მტერთან და მოყვარესთან—უპირველესი მოთხოვნილებაა ნამდვილი დემოკრატიის.

და არა მგონია ჩვენ მეზობლებს მოუტანოს ორპირმა გზამ სარგებლობა.

ჩვენ არ გამოვუდგებოდით მათი გზების აღნიშვნას, თუ არა ერთი გარემოება... თავშიაც აღვნიშნეთ, რომ ამიერ-კავკასიის ერთა ბედი ერთი-მეორეზეა გადაბმული. მეზობლის გასაჭირი ჩვენს ქვეყანასაც პირათ უხდება. აი, ამიტომ, ჩვენი წრფელი სურვილია ნამდვილი დემოკრატიული გზის გამოძებნა ჩვენი მეზობლებისაგანაც. დემოკრატიას ყველგან ერთი და იგივე ტენდენციები აქვს, ერთი და იგივე გზა. პოლიტიკით განირჩევა არა მასსა არამედ ხელმძღვანელები. და სანამ მეზობელ ერებს ასეთი აბრუნდის მტრიალებელი ხელმძღვანელები ჰყავს, ამიერ კავკასია დაზღვეული არაა ავანტიურისაგან, ყალბი ნაბიჯებისაგან, და პირველ ყოვლისა ამიერ-კავკასიის დემოკრატია არაა უზრუნველ ყოფილი იმ მონაპოვართა შენარჩუნებაში, რომელიც მას რევოლიუციამ მიანიჭა.

## პრესა

„სახალხო საქმე"-ში ბ. არჩ. ჯაჯანაშვილი კვლავ უბრუნდება განათლების საკითხს. ის სამართლიანათ აღნიშნავს, რომ „ჩვენი ქვეყნის განათლება მთავრობის ერთი უპირველესი საზრუნავი საგანი უნდა იყოს".

მაგრამ ბ. ჯაჯანაშვილს პოლიტიკურ ფერობში გადააქვს განათლების საკითხი და აქ კი დიდ შეცდომებს უშვებს. ეს ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა იმ გრძნობებისაგან, რომელიც მას ძველი მთავრობის გამარუსებელმა რეჟიმმა ჩაუნერგა. ის სიწორით აღნიშნავს ფაქტს ამ გამარუსებელ პოლიტიკისას:

„საშუალო სკოლა თავიდან ბოლომდე რუსული სკოლა იყო. იგი არუსებდა ჩვენს ყმაწვილებს არა მარტო ცოდნით, იგი არუსებდა მათ სულითა და გულითაც. მოწინავე ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ისე იყო ჩაფლული გამარუსებელ ქსელში, რომ ვერავითარ პროპაგანდას, ვერავითარ ზნეობრივ ზედგავლენას ვეღარ შეეძლო გაენთავისუფლებინა იგი ამ გამხრწნელ მდგომარეობიდან".

მაგრამ ბ-ნ ჯაჯანაშვილს ტყუილად ჰგონია, ვითომ მოწინავე საზოგადოების გარუსება სკოლის ბრალი ყოფილიყოს. სკოლა ერთი იარაღთაგანი იყო გარუსების, მაგრამ თვით და თვით სახელმწიფო წყობილება იყო, რომელიც აიძულებდა მოწინავე წოდებას გარუსებას. ჩვენმა მოწინავე წოდებამ რომ „ოვეებათ" გადაიკეთა გვარები, განა ეს რუსულ სკოლის ბრალით იყო?

ქვემოთ ბ. ჯაჯანაშვილი ბრძანებს, რომ დღეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, დღეს მთელი მართვა-გამგეობა ჩვენს ხელთ არის და ამიტომ მთელი სწავლა-აღზრდის საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მის განვითარებას წინ არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობოსო".

სრული სიმართლეა, მაგრამ რითი შეუძლია წინ გადაგვეღობოს თუნდაც რუსულ უნივერსიტეტს? მაგრამ ეს თურმე შესაძლებელი ყოფილა. საინტერესოა, თვით ჯაჯანაშვილს მოვუსმინოთ:

„მეორეთ საშუალება ისეთ წრეს ჩვენი საზოგადოებისას, რომელსაც რუსული გიმნაზია ქართულ გიმნაზიას ურჩევნიან და რუსული უნივერსიტეტი ქართულ უნივერსიტეტს; საშუალება მივცეთ ამ გადაგვარებულ ელემენტს კიდევ ცოტა ხანს ავარჯიშოს თავისი მოწამლული გონება რუსულად".

ასეთის საშუალებით ფიქრობს ბ. ჯაჯანაშვილი გადაგვარებულ ელემენტის გადმოგვარებას? და ის თავის გულუბრყვილო ბრძოლაში ისე შორს მიდის, რომ გვირჩევს:

„ქართველს, ვინც უნდა იყოს იგი და რა მოსაზრებითაც არ ხელმძღვანელობდეს, უნდა აეკრძალოს არა ქართულ სკოლაში შესვლა"-ო.

მადლობა ღმერთს, მართალი უთქვამთ! პარლამენტის სხდომაზე, ბ. ალექსანდრე წერეთელმა სასტიკათ გაილაშქრა ვეშაპელის წინააღმდეგ და სიყვარულით მოიხსენია რუსული ენა და კულტურა. ბ. გრიგოლ რცხილაძემ იმავ პარლამენტში განცვიფრება გამოსთქვა: როგორ შეიძლება უნივერსიტეტების კონკურენციაზე ლაპარაკიო. დღეს კი მათი ამხანაგი ჯაჯანიშვილი ილაშქრებს „მომწამვლელ" რუსულ სკოლის წინააღმდეგ და ებრძვის რუსულ უნივერსიტეტს, რადგან ეშინია მისი კონკურენციის!

ჩვენ სხვათა შორის იმაშიც არ ვეთანხმებით ფედერალისტებს, რომ საქართველოს მომავალზე გული არ გაგვიტეხია. მაგრამ ჩვენს იმედებს ჩვენ ვამყარებთ ქართველ ხალხის სასიცოცხლო ძალებზე და არა იმ გადაგვარებულებზე, რომელთა გაქართველებას ბ. ჯაჯანაშვილი ფიქრობს, რუსულ შკოლაში შესვლის აკრძალვით და რუსულ უნივერსიტეტის მოსპობით.

რუსეთის ბიუროკრატია ძალით გვარუსებდა. ბ. ჯაჯანაშვილი ძალით აქართველებს გარუსებულებს.

ვის მხარეზეა სიმართლე?

## ორიოდე სიტყვა მთავრობის ორგანოზე

ჩვენს მთავრობას აქვს ოფიციალური ორგანო—„საქართველოს რესპუბლიკა". ეს საქმე ჩვენში ახალია, და ამიტომ არც გასაკვირია, რომ მთავრობის გაზეთი სათანადოთ ვერ ასრულებდეს თავის დანიშნულებას. ყოველი ახალი საქმე თავში მოიკოჭლებს და თანდათანობით იკვლევს ჭეშმარიტ გზას.

მით უფრო საჭიროა მთავრობამ ერთგვარი სახელმძღვანელო ხაზი უჩვენოს ამ ახალ ორგანოს ხელმძღვანელებს.

რას ვუწოდებთ ჩვენ „საქართველოს რესპუბლიკას"?

მთავრობის ორგანო უნდა გამოხატავდეს მთავრობის მოქმედების ხაზს. ეს კი უპირველესად განხორციელდება მაშინ, როცა იქ დროზე იქნება მოთავსებული მთავრობის და პარლამენტის ყოველგვარი დადგენილება და კანონი. სხვა წერილებს ნაკლებათ უნდა ჰქონდეს ადგილი.

„საქართველოს რესპუბლიკა" პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ, ეტყობა, მისი ხელმძღვანელები ვერ შეჩვევიან იმ აზრს, რომ მთავრობის გაზეთი უპირველეს ყოვლისა ოფიციალური ორგანოა. და ამიტომ არის, რომ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული არა ოფიციალურ განყოფილებას. ეს კი ტექნიკურ პირობების გამო აბრკოლებს ოფიციალურ ნაწილს. ამიტომ არის, რომ პარლამენტში გამართულ კამათს მკითხველი ეცნობა დიდის დაგვიანებით და მისთვის გაუგებარი რჩება როგორც ჩვენში მოქმედ პოლიტიკურ პარტიების ფიზიონომია, ისე მთავრობის აზრები და ზრახვანი. და იმ დროს „საქართველოს რესპუბლიკა" ექვს და 8 გვერდს ბეჭდავს, თუმცა საბრალო სიძვირეა, როგორც ქაღალდის, ისე მუშა ხელისა.

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციამ დროზე უნდა მოიშოროს აღნიშნული ნაკლი და მკითხველს მიაწოდოს ის, რაც საჭიროა.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

23 ოქტომბერი.

ბერლინი. 22 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ლისთან და შელდასთან შეერთ ჯარის ბრძოლაა. მტერი რამდენიმეჯერ შეეცადა შელდაზე გადასვლას. კორტრიკის ჩრდილოეთ დასავლეთით მტერმა იერიშები მოიტანა ჯავშნიანი ავტომობილებით, კორტრიკის სამხრეთ აღმოსავლეთით კი დიდძალი ჯარით, მაგრამ მტერი ყველგან დიდი დანაკლისით მოვიგერიეთ. 222 საველე არტილერიის 9 ბრიგადის ვიცე-ვახმისტრ მეგულერმა მტრის 6 ჯავშნიანი ავტომობილი გაანადგურა. ჩვენ მიერ დაზოგილი კოშკი-სენ-ამანს ტაძრისა ინგლისელებმა დაიჭირეს და ზედ ტყვიისმფრქვეველი დადგეს. სოლემის დაკატოს ორივე მხარეზე მტერს იერიშები

არ განუახლებია. ღამის ბრძოლაში მტერმა შესძლო ამერველის დაჭერა.

გერმანიის კრონპრინცის არმია. სერის ჩრდილოეთით, უაზის და სერის შუა ფრანგების იერიშები მოვიგერიეთ. მესბრეკურის ჩრდილოეთ დასავლეთით შლეზვიგის ჯარებმა მტერზე კონტრ-იერიშები მიიტანეს და გაიმარჯვეს. მდინარე ენის მაღლობზე, ვუზიერის აღმოსავლეთით ძლიერი ომი გრძელდება. ვიურტემბურგის, პრუსიის და ბავარიის პოლკებმა კონტრ-იერიშებით ვანდის აღმოსავლეთით, ბალე პესტრს შუა, ფალეზის ჩრდილოეთით მტრის მიერ დაჭერილი მაღლობები აიღეს და მოწინააღმდეგის წინსვლა შეაჩერეს. ოლიზის აღმოსავლეთით მტრის იერიში დავამარცხეთ.

გალვიცის არმია. არტილერიის ძლიერი ცეცხლის შემდეგ ამერიკელებმა იერიში მოიტანეს სომერახსის ჩრდილოეთით და ბანტევილიოს ორივე მხრით. მტრის იერიშები დავამარცხეთ ჩვენი კონტრ-იერიშებით. ჩვენმა ტყვის მფრქვეველებმა და არტილერიამ დიდი ზარალი მიაყენა ამერიკელებს. მტრის 8 ჰაეროპლანიდან, რომელნიც ჩვენ ფრონტს ზვერავდენ დაბა ლაუტანთან, ჩამოვაგდეთ 4. ლეიტენანტ ფელდენმა მე 35 ჯერ გაიმარჯვა.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. სამხედრო ცნობა. კრუზევაკის აღმოსავლეთით და მუკოვიკთან მტრის იერიშებმა მიზანს ვერ მიაღწია ტრუზარევსთან, სამხრეთ მორავაზე, ჩვენი ჯარი იმარჯვებს.

**პარიზი.** 22 ოქტ. სამხედრო ცნობა. სერის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა გერმანელებს უკან დაახევია, მიუხედავათ იმისა, რომ მტერი მედგრათ იცავდა მადენდრის და გრანდლიუპს. ჩვენმა ჯარმა ეს ადგილები აიღო. ჩვენი ხაზი ისაზღვრება სერიდან მორტიერით, აღწევს ურუ-ადემონ კახარდოლს და მილის შემდეგ ბიუზის არხამდე. დილით გერმანელებმა განაახლეს პუზიერის აღმოსავლეთით იერიშები. მტერი ყველგან მოვიგერიეთ. ჩეხო-სლოვაკებმა, რომელნიც ფრანგებთან ერთად იბრძვიან, დაიჭირეს სოფელი შერონი, რომელიც დროებით მტრის ხელში იყო. ელზასში ტანის სამხედრო მტრის რაზმი შეეცადა მოახლოვებოდა ჩვენ შუაგულ სიმაგრეს, მაგრამ იგი უკუვაგდეთ.

ამერიკის ოფიციალური სამხედრო ცნობა. 22 ოქტ. ვერდენის ფრონტზე ჩვენ შევინარჩუნეთ და გავაფართოვეთ წინა დღეებში დაპყრობილი ადგილები. სიმაღლე 297 § ზე და ბუა-დე რანპზე მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა ჩვენს ახალ პოზიციებზე, მაგრამ მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ და უკან დავახევინეთ. ჩვენი პოზიციები ყველგან მიუვალია. აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ბუა-დე ფორე და ტყვეთ ჩაიგდო 75 ჯარისკაცი. მეუზის ორივე ნაპირზე არტილერიის მოქმედება ძლიერდება და ავიაცია მეტ მხნეობას იჩენს. ვოევრში ჩვენი რაზმი თავს დაესხა მტერს და 26 ჯარისკაცი ტყვეთ წამოიყვანა.

**სტამბოლი.** 22 ოქტ. სამხედრო ცნობა. ყველა ფრონტზე დღეს მშვიდობიანათ ჩაიარა.

**ბერლინი.** 21 ოქტ. ტექსტი საპასუხო ნოტისა, გადაცემული გერმანიის მთავრობის მიერ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობისადმი კვირა საღამოს: „გერმანიის მთავრობა, როდესაც მან თანხმობა განაცხადა დაპყრობილ ადგილთა დაცლაზე, ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ ამ ადგილთა დაცლისა და დროებითი ზავის პირობების შემუშავება მიენდობოდა სამხედრო სპეციალისტებს და რომ მას საფუძვლათ დაედებოდა ფრონტებზე არსებული ძალთა განწყობილება, უზრუნველ მყოფელი ამ შეთანხმებისა. გერმანიის მთავრობა წინადადებას აძლევს შეერთებული შტატების პრეზიდენტს, შექმნას მან საჭირო პირობები ამ დეტალების შესამუშავებლად. გერმანიის მთავრობას სწამს, რომ ამერიკის პრეზიდენტი არ მოიწონებს ისეთ წინადადებას, რომელსაც მიზნათ ექნება დამცირება გერმანიის ღირსებათა სამართლიანობისა, რომლის საფუძველზედაც უნდა აღმოცენდეს მომავალი ზავი. გერმანიის მთავრობა უსაფუძვლოთ სთვლის იმ საყვედურებს, რომელსაც ავრცელებენ მისი ჯარისა და საზღვაო ძალთა მოქმედების სიმკაცრის შესახებ. ნგრევა-განადგურება საერთაშორისო კანონით არის ცნობილი, როგორც საშუალება უკან დახევის უზრუნველსაყოფლათ. გერმანიის ჯარს ნაბრძანები აქვს დაზოგოს კერძო საკუთრება და რამდენადაც შესაძლებელი იქნება იზრუნოს მცხოვრებლებზე. მათ, ვინც დანაშაულობას ჩაიდენს დასჯიან. გერმანიის მთავრობა უარჰყოფს იმასაც, რომ გერმანიის მეზღვაურები, გემების ჩაძირვის დროს ღუპავენ აგრეთვე მაშველ ნავებს მგზავრებთან ერთად. გერმანიის მთავრობა მოითხოვს შესდგეს ნეიტრალური კომისია, რომელიც სიწორით გამოარკვევს ყველაფერს, რომ აღარ ჰქონდეს მიზეზი ზავის დამყარების საქმეს, გერმანიის მთავრობამ უბრძანა ყველა წყალქვეშა ნავების უფროსებს აღარ ჩაძირონ სამგზავრო გემები. მაგრამ ტეხნიკური მიზეზების გამო არ შეიძლება პირობის მიცემა, რომ ეს ბრძანება ყველა წყალ-ქვეშა ნავის უფროსამდე მიაღწევს, ვიდრე ისინი არ დაბრუნდებიან თავის სადგურში. ზავის დამყარების უმთავრესი პირობა არის, განსაკუთრებით აღნიშნავს პრეზიდენტი, იმ მთავრობის მოშორება, რომელიც დაყრდნობილია ძალადობაზე, უპასუხისმგებლოა და შეუძლია დაარღვიოს საერთაშორისო ზავი. ამაზე გერმანიის მთავრობა უპასუხებს: გერმანიის მთავრობაში ჯერ-ჯერობით მთავრობის შედგენაში სახალხო წარმომადგენელთ ძალა არ დაუტანებიათ. კონსტიტუციაში არ იყო ნათქვამი, რომ ხალხის წარმომადგენელნი ომის და ზავის საკითხში მონაწილეობას მიიღებენ. ამ შემთხვევაში კარდინალური ცვლილება მოხდა. ახალი მთავრობა შედგენილია ხალხის წარმომადგენელთა სურვილის თანახმათ, რომლის პრინციპია საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი კენჭის ყრა. რეიხსტაგის უმთავრეს პარტიათა ლიდერები მთავრობაში შევიდენ. მომავალშიაც ვერ შესდგება და ვერ იარსებებს ისეთი მთავრობა, რომელსაც რეიხსტაგის უმრავლესობის ნდობა არ ექნება. რეიხ-კანცლერის პასუხისმგებლობა სახალხო მთავრობის წინაშე ისაზღვრება კანონით და უზრუნველყოფილია. გერმანიის ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯია იმ კანონის მიღების წინადადება, რომლითაც კონსტიტუცია იცვლება იმ გვარათ, რომ ომის და ზავის საკითხის გადაწყვეტაში აუცილებელია სახალხო წარმომადგენელთა თანხმობა. ამ ახალი სისტემის ხანგრძლივობის გარანტიას უზრუნველყოფს არა მარტო კანონები, არამედ გერმანიის ხალხის შეურყეველი სურვილი, რომელიც დიდი უმრავლესობით მხარს უჭერს ამ რეფორმებს და ენერგიულათ მოითხოვს მათ გაფართოებას. პრეზიდენტისა და მის მოკავშირე მთავრობათა პასუხზე, თუ ვისთან აქვთ მათ საქმე, აქით ვაძლევთ გარკვეულ პასუხს, რომ ზავის და დროებითი ზავის წინადადებას იძლევა სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი მთავრობა, გერმანიის ხალხის უმრავლესობის სრულ თანაგრძნობაზე დამყარებული.

**ბერლინი.** 20 ოქტ. 1918 წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარი ზოლფი.

გადმოცემულია ქ. პეტროვსკიდან რადიოთი.

ენზელი, ალხავი, კრასნოვოდსკი. კუნეს 23 სექტემბერს ქ. უფაში არჩეულ იქმნა დროებითი მთავრობა 5 კაცისაგან: თავმჯდომარე—ავქსენტიევი; წევრები ვოლოგოდსკი, ჩაიკოვსკი, ასტროვი და მთავარ სარდალი ბოლდირევი. დამფუძნებელ კრების მოსაწვევათ დანიშნულია 1 იანვარი მთავრობა სთხოვს სახელმწიფო მოსამსახურე პირთ, აცნობონ მათ თავისი ადრესები. იტალიის ელჩს უკვე აქვს დამოკიდებულება უფის მთავრობასთან. მოკავშირეთა მთავრობები სალამს უძღვნიან დროებით მთავრობას. უფაში მოვიდა ინგლისის საგანგებო რწმუნებული ულიოტ მე ვცდები ცნობები გადავცე უფას სპარსეთში მოქმედებათა შესახებ. მინორსკი.

**კრასნოვოდსკი** კუნეს. აცნობეთ ენზელს, რომ სრულიად რუსეთის დროებითი მთავრობის მოადგილეთ ითვლებიან: არგუნოვი, საპოჟნიკოვი, ვინოგრადოვი და გენერალი ალექსეევი. რომელიც გარდაიცვალა 10 ოქტ. და რომელმაც ჯარის ხელმძღვანელობა გადასცა გენ. დენიკინს. დროებითი მთავრობა ერთხმათ იქმნა არჩეული მთელი ერებისაგან, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ მუსულმანებიც. მთავრობა პასუხისმგებელია, მხოლოდ დამფუძნებელი კრების წინაშე. მან გამოსცა მოწოდება რუსეთის ხალხთა მიმართ, რომელშიაც საჭიროთ აღიარებს რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის დაარსებას.

**მოსკოვი.** 22 ოქტ. ც. აღმ. კომ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. რევოლიუციონური ფრონტი. ვორონეჟ, 20 ოქტ: სამხრეთ ფრონტზე წითელ-არმიელთა სულიერი მდგომარეობა მტკიცეა. ხელმძღვანელნი ძლიერ იმაგრებენ ჯარს, რომელიც წინსვლისაკენ ისწრაფვის. ფრონტების ახლო მდებარე სოფელთა გლეხებმა გადასწყვიტა ყველანი 18—50 წლამდე საბრძოლველათ გამოვიდენ და დაიცონ საბჭოთა მთავრობა. იბრძვის აგრეთვე გლეხთა მოხალისე რაზმი. ტროცკის ჩამოსვლის შემდეგ ფრონტი გამაგრდა. მტერი სისუსტეს გრძნობს.

**ბერლინი.** 19 ოქტ. როგორც რეიტ. სააგენტო იუწყება, მოკავშირეებმა გადალახეს ბულგარეთის სამხრეთი დობრუჯა. რუმინიაში დიდი აღელვებაა. ბერლინი, 20 ოქტომ. ბულგარეთსა და რუმინიის შორის მოლაპარაკება სწარმოებს დობრუჯის შესახებ. გერმანიის ელჩი ვენიდან იუწყება, რომ ვენაში სულიერი მდგომარეობა განმტკიცდა. დარწმუნებული არიან, რომ ცილსონი მათ დაიცავს. ამ გარემოებას სთვლიან ავსტრია-გერმანიის კავშირის გაწყვეტის მოსაწვევლათ. უნგრეთის პარლამენტში ტისსა მხარს უჭერს ზავის ჩამოგდებას ვილსონის პუნქტების საფუძველზე. ბერნი 19 ოქტ. საფრანგეთის პრესა გამოთქვამს შიშს რომ დემოკრატიზაციის გამო შესაძლოა გაუმჯობესდეს გერმანიის მდგომარეობა და მოითხოვს ამერიკის დახმარებით ომის გაგრძობას რათა მიაღწიოს იძულებითი ზავს გერმანიის საზარალოთ. ბერლინი. 20 ოქტ. ავსტრიის დელეგაციის სხდომაზე ბურიანმა განაცხადა, რომ ბრესტის ხელშეკრულობის ძალით დადებული საზღვრები უზრუნველჰყოფს მომავალში მშვიდობიანობას. ბერლინი. 20 ოქტ. ოფიციალურათ იუწყება, რომ ამნისტიის ძალით პრუსიაში გაანთავისუფლეს 190 კაცი. ფინლიანდიის მთავრობას განზრახული აქვს გაანთავისუფლოს პატიმრები რომელთაც რევოლიუციონურ მოქმედებისთვის 3 წ. ნაკლები ციხე ქონდათ მისჯილი. ასეთია დაახლოვებით 10000 კაცი. ბერნი. 19 ოქტ. ბერლინის ქარხნებში თავისუფლათ მსჯელობენ ჰააზესა და ლედებურის მომავალ მთავრობაზე. ბერლინი. 20 ოქტ. ვენაში აუდენციაზე კოროლემ მოითხოვა პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტია და ფრიდრიხ ადლერის განთავისუფლება. კოპენჰაგენი. 20 ოქტ. მადრასში, კალკუტაში და ინდოეთის სხვა ქალაქებში ცხოვრების გაძვირების გამო მღელვარებაა. ინგლისში შავი ქვის დამუშავება 20 მილიონი ტონით შემცირდა. მოსკოვი. 22 ოქტ. უკრაინაში ჯარში იწვევენ 1919 წლ. გასაწვევ ახალგაზრდებს. რუსი ოფიცრებისაგან აღდგენენ კორპუსს განსაკუთრებულ დანიშნულებისათვის. კიევი. 21 ოქტ. უკრაინელები გულცივად ეპყრობიან გერმანელებს. იცვლება ორიენტაცია. თუ მოკავშირეთა გამარჯვება დაინახეს მათ მხარეზე გადავლენ. კიევში თავმოყრილი შავრაზმელები აქტიურად მოქმედებენ. აირჩიეს საბჭო, რომელშიაც შედიან ბეზაკი, კრიჟევი და კატენინი. საბჭოს მიზანია რუსეთის მთლიანობის აღდგენა მეფის მეთაურობით. საბჭოსთან არსებობს სამხედრო განყოფილება, რომლის სათავეშია კელერ პალიცინი და კანტაკუზენი. მონარქისტთა ბლოკი მხარს უჭერს გეტმანს მემარცხენეებთან ბრძოლაში. დიდ როლს თამაშობს ზამისლევსკი, პელიკანი, კრიჟევის და დახვრეტილ შრეგლოვიტოვის ჯარი. ხარკოვი 19 ოქტომბერს დახურეს მენშევიკური გაზეთი „ვესტნიკ იუგა“, სტამბა დაკეტეს. მთავრობის განკარგულებით ხარკოვის ქალაქის საბჭო რევიზიის შემდეგ სამართალში მისცეს. ზლატოუსტოვი, 20 ოქტ. წითელარმიელების დახვრეტა განახლეს. ვიბორგში დახვრიტეს 18 კაცი. ფინლიანდიის ჯარში შიმშილობაა. 5 ნოემბერს სეიმს მოიწვევენ ჰელსინკში. 20 ოქტ. არხანგელის მიმართულებით რუსი ოფიცრების რაზმმა ინგლისელთა წინამძღოლობით დაატყვევა „უმაღლესი მთავრობა“. სიმფეროპოლი. 18 ოქტ. მთავრობაში შევიდენ კადეტები: კრიმი, ვინავერი, ნაბოკოვი და სოც.-რევ. ფოხსი. ვორონეჟი, 21 ოქტ. დონეცის ოლქში მაღაროები არ მოქმედებენ, მუშები სახლში ბრუნდებიან, მდგომარეობა კატასტროფიულია, დონის და ყუბანის რკინის გზაზე გაფიცვაა. ეკატერინოდარი. 19 ოქტ. მინისტრთა კაბინეტი პეტერბურგელ წარჩინებულ მოხელეთაგან შესდგება. სამხედრო მინისტრათ ინიშნება ლუკომსკი, საგარეო საქმეთა—საზონოვი, ფინანსების—შიპოვი. მოსკოვი. 22 ოქტ. იხსნება სამხედრო აკადემია. პროლეტარული რევოლიუციის წლის თავის გამო განზრახულია შემოიღონ ახალი წელთა აღრიცხვა. ახალი ხანის დასაწყისი იქნება 5 ოქტ.—7 ნოემბერი 1917 წლისა.

## საქართველოს პარლამენტი

**22 ოქტომბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ექვ. თაყაიშვილი. მდივანი კითხულობს განცხადებას ფაჩუაშვილის პარლამენტის წევრობიდან გადადგომის შესახებ და ვასილ წერეთლის განცხადებას, რომ ის თავს ანებებს დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას და გადადის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში.

მდივანი აქვეყნებს შემდეგ დღის წესრიგს: 1) კანონ პროექტი მოკლე ვადიან სესხის შესახებ; 2) კანონ პროექტი საბაჟო დაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადის შესახებ; 3) კანონ პროექტი შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრებისა; 4) დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისა და ხარჯთ აღრიცხვა; 5) კანონ პროექტი ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური შტატების შესახებ; 6) კანონ-პროექტი გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვისა; 7) დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების შეკითხვა 30 მილ. სალიკვიდაციო ფონდის შესახებ; 8) ალ. ახმეტელის შეკითხვა მთავრობისადმი ჩვენში ოსმალთა შეიარაღებული ასკერების თვითნებობის შესახებ.

**ალ. ლომთათიძე** (ს. დ.). დღის წესრიგში დასმულია დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისა და ხარჯთ აღრიცხვისა. ეს საკითხი დიდათ მნიშვნელოვანია. აუცილებლად საჭიროა ის გადაიდვას და მოხმარდეს მას ერთი სხდომა—პარასკევს. დღეს აგრეთვე საკითხათ დასმულია შავი ზღვის რკინის გზის დამთავრების შესახებ საკითხი. ამ საკითხის გარჩევა ფრაქციამ ვერ მოასწრო, ზოგიერთი მასალები განუხილველი დარჩა და ამიტომ მოვითხოვთ, რომ ეს საკითხიც მოიხსნას დღის წესრიგიდან.

**გ. ჟურული** (ფინანსთა მინისტრი) მოითხოვს, რომ პირველ რიგში დაისვას კანონ-პროექტი ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ შტატების შესახებ.

**ი. გობეჩია.** შავი ზღვის განაპირას რკინის გზის საკითხი დიდი ხანია მოგზაურობს კომისიებში. ჩვენ ვერ წავალთ ს.-დემოკრატების განცხადების წინააღმდეგ, მაგრამ მოვითხოვთ რომ შემდეგ კრებაზე გაირჩეს. პარლამენტმა ლომთათიძის და გობეჩიას წინადადებანი მიიღო.

**გ. ვეშაპელი.** მოითხოვს, რომ საფინანსო კომისიას მიეცეს სამი დღის ვადა საჩხერეში დაზარალებულთათვის 100,000 მ. მიცემის საკითხის გასარჩევად.

**რ. არსენიძე.** მე წინააღმდეგი არა ვარ, რომ კომისიას ვადა დაენიშნოს, მაგრამ სამი დღე ძალიან ცოტაა, მით უმეტეს, რომ საფინანსო კომისიას ბევრი სხვა საქმეებიც აქვს, მე წინადადება შემომაქვს, რომ კომისიას მიეცეს ერთი კვირის ვადა. არსენიძის წინადადება პარლამენტმა მიიღო.

**ახმეტელი.** ჩემი შეკითხვა ფრიად სერიოზულია და საჩქაროა, მე მოვითხოვ, რომ ის დასმულ იქნას პარასკევს, პირველ რიგში.

**ლომთათიძე.** პარლამენტმა უკვე მიიღო ჩემი წინადადება, რომ პარასკევის სხდომა მოხმარდეს დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულებას. ახმეტელის წინადადების მიღება დარღვეულ იქნება წინეთ მიღებულ წინადადებისა. მე წინადადება შემომაქვს, რომ ჩვეულებრივი რიგით და წესით იქნას შეკითხვა განხილული.

ლომთათიძის წინადადება მიღებულ იქნა.

**ი. ლორთქიფანიძე.** საფინანსო კომისია მოგმართავთ თხოვნით, რომ კანონპროექტი მოკლე ვადიან სესხის შესახებ ისევ დაუბრუნდეს მას გადასასინჯავათ, რადგანაც მის შემდეგ გერმანიიდან ჩამოვიდა ნ. ნიკოლაძე და მდგომარეობა შეიცვალა. წინადადება მიღებულ იქნას.

**კანონ პროექტი ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა შტატების შესახებ.**

მომხს. ი. ლორთქიფანიძე კანონ-პროექტი ასეთია:

1) დამტკიცებულ და ამა 1918 წლის ივნისის პირველიდან განხორციელებულ იქნეს ამ კანონთან დართული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა შტატები.

2) გადაიდოს სახელმწიფო თანხიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული შტატებისათვის 734400 მან. შემდეგი განაწილებით: 1) მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის 325,600 მან; 2) იურიდიული რჩევისათვის 7000 მან.; 3) სახელმწიფო ბანკის თფილისის კონტროლის კომისარისათვის 5950 მ.; 4) სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილების კომისარისათვის 3150 მან; 5) საკანცელარიო ხარჯებისათვის 14,000 მ.; 6) სასტამბო 10,500 მან; 7) ბინისათვის 11,[illegible]00 მ.; 8) გათბობა, განათება და სხვა სამეურნეო ხარჯებისათვის 21,000 მან.; 9) ინვენტარის შესაძენათ 3,500 მ.; 10) სხვაზო ხარჯებისათვის 10,500 მან.; 11) მინისტრის განკარგულებაში მოულოდნელ ხარჯებისათვის 14,000 მ.

**ალ. ასათიანი** (ნაციონ. დემ.) ვრცელ სიტყვას ამბობს საფინანსო პოლიტიკის შესახებ, აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ჩვენ ბიუჯეტი არა გვაქვს და არც ფიქრობენ მის მოწესრიგებაზე. ორატორი ეხება უკვე დამტკიცებულ შტატების წესრიგს და ამბობს, რომ აქ წარმოდგენილი იყო რამოდენიმე დაწესებულების შტატები ფინანსთა სამინისტროს დაუკითხავად, რაც არა-ნორმალურ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. ამან გამოიწვია ერთგვარი უწესრიგობა და უსისტემობა ფინანსიურ საქმეში. სამინისტრო უნდა შეეცადოს, რომ შემდეგში ასეთი ამბები არ განმეორდეს. შტატებს ვამტკიცებთ, მაგრამ შემოსავლის წყარო კი არ სჩანს. ფინანსთა მინისტრი უნდა ცდილიყო გადასახადები შემოეღო და ხალხი დაებეგრა, მართალია, ანარქიის გამო შეუძლებელი იყო ეს წინათ, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში კი შეიძლებოდა, სამინისტროს კი ამ მხრივ არაფერი გაუკეთებია. შემდეგ ორატორი აკრიტიკებს ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს პოლიტიკას და ამბობს, რომ შესაძლებელი იყო შინაური სავაჭრო კომიტეტის საქონლები გადაგვეცვალა საზღვარგარეთ და ერთ მილიონ არშინ ფართლეულობას მაინც მივიღებდით. დასასრულ ორატორი იმედს გამოსთქვამს, რომ ყველა ამას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს სამინისტრო და მოაგვარებს საქმეს შემდეგში მაინც.

**ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული** უპასუხებს ასათიანს და აღნიშნავს ყველა იმ მიზეზებს, რომლებმაც სამინისტროს ხელი შეუშალეს სალი ფინანსიური პოლიტიკის წარმოებაში, ის ამბობს, რომ სამინისტრომ ამიერ-კავკასიის კომისარიატისაგან აწეწილ დაწეწილი საქმეები მიიღო, მასთან როგორ შეგვეძლო ჩვენ ფინანსიური პოლიტიკა გვეწარმოებინა: გადასახადები აგვეკრიფა, მასთან საბაჟოები მოგვეწყო, როდესაც ჩვენში ადმინისტრაცია სუსტი იყო, ყოველგან ანარქია მძვინვარებდა და თვით ჩვენს სახელმწიფოს ღობე არ ქონდა შემოვლებული. ორატორი უპასუხებს რა ყველა წამოყენებულ ბრალდებებზე ამბობს, რომ ყველა იმ რჩევას, რაც მისაღებია სამინისტრო მიიღებს და შესაფერ მსვლელობას მისცემს საქმეს.

კანონპროექტი მუხლობრივ განხილვის შემდეგ პარლამენტმა დაამტკიცა. სიგვიანის გამო სხვა საკითხების გარჩევა ვერ მოესწრო. ა. ხ.

## მთავრობაში

ივანე ჯაფარიძის თხოვნა, თანამდებობის განთავისუფლებაზე შეწყნარებულ იქნას, ხოლო იუსტიციის მინისტრს დაევალოს მთავრობის შემდეგ სხდომისათვის წარმოადგინოს ახალი კანდიდატი ჯაფარიძის მაგიერ.

ნება დაერთოს თფილისის ქალაქის თვითმართველობას დახარჯოს მთავრობის მიერ გადაცემული ნავთი თავის შეხედულებით, ხოლო იმ პირობით, რომ პირველ რიგში ნავთი მოხმარდეს ქალაქის წყალსადენს, მეორე რიგში ქალაქის ქუჩების განათებას და მესამე რიგში ტრამვაის.

## ახალი ამბები

**დღეს, ნაშუადღევს 1 საათზე შესდგება საოლქო კომიტეტის კრება.**

◆ მთავრობის რწმუნებული ლ. რუხაძე ახყურიდან შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშით ატყობინებს: „ახალციხე-ახალქალაქის საქმე მეტად გამოურკვეველია. დღეს მოველაპარაკე ოსმალთა კომენდანტს ლატიფ ბეის, რომელმაც განმიცხადა, ჩვენ ამის შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვსო. ამავე დროს საზღვრებზე რაზმები გაუძლიერებიათ, რომელნიც თითქმის ყველა ასკერებისაგან შესდგება. თვით ადგილობრივი მაჰმადიანებიც მტრულად უცქერიან ჩვენს შესვლას. ახალციხე-ჯავახეთიდან გადმოხვეწილები ყოველ დღე იყრიან თავს საზღვრებზე. თუ საქმის გამოსარკვევად საჩქარო ზომები არ იქნა მიღებული, ლტოლვილები სიცივით ამოსწყდებიან ტყეებში. გთხოვთ მოელაპარაკოთ ოსმალთა მისიას თფილისში და მათი საშუალებით აცნობოთ საქმის მდგომარეობა ახალციხე-ახალქალაქში მდგომ ოსმალთა ჯარების უფროსს. ხვალ ბაკურიანით მივდივარ წალკისკენ, რომ ბორჩალოს მაზრის ლტოლვილთა გადმოსახლების ორგანიზაცია მოვაწყო.

◆ **გზათა სამინისტრომ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ მის განკარგულებაში გადავიდეს ის გზები საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილისა, რომელიც ერობის გამგებლობაში შედის, სულ 899 ვერსზე.

◆ **ხორბალი გურიისათვის.** ოზურგეთის ერობის შუამდგომლობით, მთავრობამ დაავალა ცენტრალურ სასურსათო საბჭოს, გაგზავნოს გურიაში საკმაო სათესლე ხორბალი ნაღდ ფულით.

◆ **ქვეშევრდომობის კანონი.** ამ ჟამად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იმუშავებს ქვეშევრდომობის კანონის დამატებას.

◆ **ოქრო და ვერცხლი.** სასოფლო კომისიის რწმუნებულის მანგლისში ვლ. კაკაბაძის ცნობით, სოფელ დიდ თითნეთში აღმოჩენილა ყოფილ ერევნის პოლკის ქონება ოქრო, ვერცხლი და სპილენძი 3 მილიონ მანეთად ღირებული. აღნიშნული ქონება კაკაბაძემ თფილისში ჩამოიტანა და რესპუბლიკის სახელმწიფო ხაზინას გადასცა.

◆ **საბაჟოს გახსნა ყაზბეგში.** ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს განუზრახავს გახსნას საბაჟო დარიალში. მინისტრმა სთხოვა სამხედრო მინისტრს შეატყობინოს თავისი აზრი დარიალში უმჯობესი საბაჟოს გახსნა თუ ყაზბეგში. სამხედრო მინისტრმა უფრო მოსახერხებლათ დაინახა საბაჟოს გახსნა ყაზბეგში.

◆ **დეპეშა.** გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ყრილობა მხურვალე ამხანაგურ სალამს უძღვნის ჩვენს საოლქო კომიტეტს და ულოცავს მას იმ ბრწყინვალე გამარჯვებას, რომლის წყალობით ჩვენმა დემოკრატიამ დღევანდლამდე შეუბღალავათ მოიტანა რევოლიუციის დროშა. ყრილობას ღრმათ სწამს, რომ ამ მწარე განცდის წუთებშიც, როდესაც ახლოვდება უკანასკნელი ჟამი მსოფლიო ომისა და მთელი დემოკრატია ლოდინობს საერთო ზავზე, ჩვენი პარტია უვნებლათ გამოიყვანს ჩვენს ხალხს მოსალოდნელ განსაცდელისაგან, უზრუნველჰყოფს ჩვენს [illegible] სახელმწიფოს, დემოკრატიას და დამოუკიდებლობას და როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული [illegible] სეულ წევრადო საერთაშორისო პროლეტარიატ[illegible]. ყრილობის პრეზიდიუმი.

◆ **სამხედრო მინისტრის განკარგულებით** თფილისის სადგურის ტელეგრაფის აპარატთან დანიშნული იქნება განსაკუთრებული სამხედრო მოხელე, რომელსაც მუდმივი დამოკიდებულება ექნება სანაპირო რაიონებთან.

◆ **სამხედრო მინისტრმა** მოითხოვა მთავრობისაგან, რომ საზღვრებზე მყოფ ჯარის ნაწილებისაგან ყველა რკინის გზის სადგურმა და ფოსტამ უფასოდ გზავნოს სამხედრო შინაარსის დეპეშები.

◆ **საქართველოს რესპუბლიკის** სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე გენ. რონინაშვილს სამხედრო მინისტრმა უბრძანა: შეადგინოს სასამართლოს დამატებითი შტატი სამხედრო მთავრობაში შესატანად.

◆ **ოფიცრების სამხედრო მინისტრთან დამოკიდებულება.** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომელშიაც ის უკრძალავს ოფიცრებს უშუამავლოთ მასთან დამოკიდებულებას. ვინაიდან უშუამავლოთ მინისტრთან დამოკიდებულება დისციპლინის დარღვევას ნიშნავს, მინისტრი ბრძანებს, რომ შემდეგში ასეთი დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროს** დირექტორი ივ. კაჩუხაშვილი, მისივე თხოვნით, 2 თვით სამსახურიდან განთავისუფლებულ იქნა. მის ადგილას დაინიშნა ვიცე დირექტორი ვ. აფაქიძე; ვიცე დირექტორის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ნ. კ. ჩიქვაიძე, ხოლო ადმინისტრატიული განყოფილებების უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად ვ. ნ. მგალობლიშვილი.

◆ **საქართველოს პარლამენტის** და მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების ეკონომიურ საზოგადოების წევრთა საერთო კრებაზე 20 ოქტომბერს გამგეობის წევრებათ არჩეულ იქნენ: კ. ი. ჩხენკელი (თავმჯდომარე), ვ. ძიძიგური (მდივანი) ა. მ. ალანია (ხაზინადარი), ვ. მ. გოცირიძე და ს. გ. შახნაზაროვი. ამ დღეებში საზოგადოება ხსნის მაღაზიას ევანგელოვის ქუჩაზე, № 2 (ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობაში). მოკლე ხანში საზოგადოება ხსნის აგრეთვე საკუთარ ფურნეს.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა გასასყიდათ ნოე ჟორდანიას ახალი ბროშიურა: „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია“. წიგნი ღირს ერთი მანეთი. გამოცემულია სუფთად და შეიცავს 32 გვერდს.

◆ **კავშირის დაარსება.** ამა წლის ოქტომბრის 13 შესდგა სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის მოსამსახურეთა დამფუძნებელი კრება, რომელზედაც გადასწყდა კავშირის დაარსება. იმავე კრებაზე არჩეულ იქმნა გამგეობა და სხვადასხვა კომისიები. გამგეობასთან შეთანხმებით და კოოპტაციის ძალით ქართული ენის მცოდნე პირთა მოწვევით დაეხმარება მთავრობას ექსპედიციის გაეროვნების საქმეში. ამხანაგი აკაკი სირაძე არჩეულ იქმნა წარმომადგენლათ სრულიათ საქართველოს მოსამსახურეთა კავშირის საბჭოში.

◆ **ლექცია.** დღეს 24 ოქტომბერს სახალხო უნივერსიტეტის 1-ლ განყოფილებაში (ნაძალადევის თეატრი) წაიკითხავენ ორ ლექციას: 1) ხუციშვილი ფიზიკაზე და 2) ქავთარაძე „მსოფლიო ისტორია“. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

◆ **ახალი გაზეთი.** ამ დღეებში (შაბათს) ტფილისში გამოვა ახალი გაზეთი რუსულ ენაზე „პრობუჟდენიე“, რომელსაც სცემს მუსულმანთა ს. დ. მ. პ. გუმმეტი“. გაზეთის მთავარი მიზანია საზოგადოების ფართო წრეებისათვის მუსულმანთა ცხოვრების გაცნობა და მუშაობა ამიერ-კავკასიის ერების დასაკავშირებლად.

◆ **გაჩხრეკა.** სამხედრო მინისტრის განკარგულებით, ოზურგეთის მაზრის კომისარმა ს. ნიგოითში გაჩხრიკა ფოთის სასურსათო მაღაზიაში გამგეთ ნამყოფი არეშიძე. გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა ბევრი სახაზინო ნივთები; არეშიძე დააპატიმრეს.

◆ **დატუსაღება.** სოხუმიდან ჩამოიყვანეს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებისათვის დატუსაღებულნი: ვლ. შერვაშიძე, ალ. დემიანოვი, დიმ. ლუკიანოვი, მიხ. შლატტერი, გ. ადეჟემოვი, ნიკ. კურლიჩიკი, დ. ალანია, ტ. ხორჩიკიანი.

— განსაკუთრებულმა რაზმმა დაატუსაღა სპეკულიაციისთვის: ა. არუტიუნიანცი, გ. ჯავახოვი, ი. მარლანია, გ. თუმანოვი, ს. აზხატოვი და ბ. პოპოვი.

◆ **ახალგაზრდა მარქსისტებში.** კვირას, 20 ამ თვეს მოხდა თფილისის ახალგაზრდა მარქსისტ. ორგანიზაციის საერთო კრება. სხვადასხვა კითხვების გარჩევის შემდეგ მოხდა ახალი არჩევნები თფილისის ორგანიზაციის კომიტეტისა, სადაც ორი ადგილი დათმობილი აქვს ნაძალადევის ახალგ. მუშებ. მარქს. ორ-

განიზაციის წარმომადგენლებს; ამისთვის სთხოვენ ზემო აღნიშნულ ორგანიზაციას დაუყონებლივ გამოგზავნოს თავისი წარმომადგენლები.

✦ **გამომცემლობა.** რედ. მიიღო ახლად გამოცემული ბროშიურა—„მოკლე თვითმასწავლებელი გერმანული ენისა“, შედგენილი ს. ვადაჭკორიას მიერ. წიგნაკი სუფთად და ლამაზადაა გამოცემული, იგი შედარებით კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს ერთი მანეთი.

✦ **რესპუბლიკის საექიმო სასანიტარო** განყოფილებამ მიხეილის საავადმყოფოს რევიზია დაუნიშნა, რომელიც ამ ცოტა ხანში დასრულდება. სარევიზიო კომისიაში შედიან: საზოგადო დაწესებულებათა და საკონტროლო პალატის წარმომადგენელნი და დასახელებულ განყოფილების წევრნი. სხვათაშორის აღმოჩნდა, რომ საავადმყოფოს დიდი ვალი აქვს გადაუხდელი. საეროზო თანხის, რითაც საავადმყოფო ინახებოდა, დახარჯვის გამო, კომისია იძულებული გახდა საავადმყოფოში საწოლთა რიცხვი შეამციროს და შტატი შეამოკლოს. განყოფილებამ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ათ მილიონიან ფონდიდგან საჩქაროთ გადაიდოს საჭირო თანხა ვალების დასაფარავად.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ საექიმო სასანიტარო განყოფილებას დაავალა საჩქაროდ შეიმუშავოს გეგმა, რომლითაც გამოირკვევა მომავალ სამაზრო ერობაში რამდენი საავადმყოფო უნდა გაიხსნას, რა ტიპისა უნდა იყოს თითო საავადმყოფო სოფლად ან ქალაქად? რამდენი მცხოვრები მიეწერება თითო საავადმყოფოს, რა ზომისა იქნება ერობის საექიმო თითო ერთეული, წლიურად რა დაჯდება მთლად თითო საავადმყოფო და საავადმყოფოში თითო საწოლის შენახვა. განყოფილების მიერ ამ სახით შემუშავებული გეგმა საფუძვლად დაედება ერობის საექიმო სასანიტარო საქმეს.

— საექიმო სასანიტარო განყოფილების სპეციალური კომისია აფთიაქების და აფთიაქების საწყობებს სისტემატიურად რევიზიას უშვრება, უკანასკნელი რევიზიის დროს ქსენიასა და ელისაბედის ქუჩების კუთხეში მოთავსებულ აფთიაქში რევიზიამ უსუფთაობა აღმოაჩინა, შკაფები და მაგიდები დიდი ხნის ჭუჭყითა და მტვრით იყო დაფარული. აფთიაქისთვის აუცილებელი ზოგიერთი წამალი არ აღმოჩნდა.

— ქუთაისის სისხლის საქმეთა მილიციამ რესპუბლიკის საექიმო სასანიტარო განყოფილებას ქუთაისის ყოფილ მიტროპოლიტის ანტონის შიგნეული გამოუგზავნა საექიმო-სამსჯავრო გამოკვლევისთვის.

— ყარაიაზში გადმოხვეწილ ლტოლვილთა საექიმო სასანიტარო მდგომარეობის გამოსარკვევად საქართველოს საექიმო სასანიტარო განყოფილებამ საჩქაროდ ექიმი გაგზავნა.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მესამე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა კოლექტივის ბინაზე (კახეთის ქ. № 1). ამხანაგებს ვთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

— ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია მესამე რაიონულ კოლექტივის სარევიზიო კომისიის სხდომა. ვსთხოვთ ამხანაგებს შეიკრიბონ კოლექტივის ბინაზე.

— ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს, საღამოს 5 ს. მე-6 გიმნაზიაში (უდელის ქ. № 8) დანიშნულია თფილ. ახალგაზრ. მარქსისტთა ორგანიზაციის კომიტეტის წევრთა კრება. კრებას აუცილებლად უნდა დაესწრონ კანდიდატებიც.

— დღეს, საღამოს, 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება,

— დღეს, 24 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონულ კოლექტივის ახალ შემადგენლობის წევრთა სხდომა.

— დღეს, 24 ოქტომბერს სახალხო უნივერსიტეტში შემდეგი ლექციებია: საკოვსკი „მცენარეთა ცხოვრება“, ბუდინოვი წაიკითხავს ქიმიაზე: ესენი მუშათა საკითხზე, ჩემოდანოვი სოციალიზმის ისტორიაზე.

# მოწოდება

ამხანაგებო! საქართველოს სახალხო გვარდია, რომელიც საშინელ ანარქიის ქარტეხილში დაიბადა და გმირულად იბრძოდა, დღესაც განაგრძობს თავის რევოლიუციონური საქმეების კეთებას. მან ბევრი მსხვერპლი შესწირა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვას და მასში დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებას. მუშაობა დემოკრატიისა ჯერ არ დამთავრებულა. ჩვენს ნორჩ თავისუფლებას მრავალი მტრები ემუქრება შიგნით და გარედან. გენ. ალექსეევის კონტრ-რევოლიუციონური „მოხალისეთა ჯარი“ ჩვენი ქვეყნის კარებთან სდგას და საქართველოზე კბილებს ილესავს. მტრები შიგნითაც მოიპოვებიან. ყველა უკმაყოფილო პირები საქართველოს დემ. რესპუბლიკით, მარჯვე შემთხვევას ეძებენ გენ. ალექსეევის ჯარს გვერდში ამოუდგენ და თავიანთი შავი მარჯვენით მოსპონ, მიწასთან გაასწორონ დემოკრატიის მიერ ბრძოლით მოპოებული თავისუფლება. ამხანაგებო! თავისუფლებას კვლავ საფრთხე მოელის. საქმე დაყოვნებას არ ითმენს. ჩვენ გვიხსნის საიმედო ჯარი. ამ რიგად დღეს ჩვენი ქვეყნის არსებობის ინტერესი მოითხოვს, რომ სახალხო გვარდია გაიზარდოს, შექმნას მან მჭიდრო სამხედრო ორგანიზაცია და შესაფერად გაიწრთვნას. ის დემოკრატიის გულიდან უნდა შეიქმნას, და მაშინ საქართველოს ეყოლება ერთგული და თავდადებული მებრძოლები, რომელნიც უზრუნველყოფენ ქვეყანას გარეშე შემოსევისაგან და ხალხის ფიზიკურ არსებობასთან ერთად დაიცავენ მის თავისუფლებასაც. სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაიწყო პირველ ფეხოსან სახალხო გვარდიის ბატალიონის შედგენა, რომელსაც რეგულიარული ჯარის სახე ექნება. ჩვენი ხალხის ინტერესია ამ ბატალიონში შეგნებული ელემენტები, ნამდვილი რევოლიუციონერები, დემოკრატიის ერთგული დამცველები და ერთი მიზნით გამსჭვალული პირები შედიოდეს. ამიტომ მოუწოდებთ რესპუბლიკის ყველა პატიოსან მოქალაქეთ, განსაკუთრებით ამხანაგებს და რევოლიუციონერ ორგანიზაციებს, ყურადღებით მოეპყრან ამ დიად საქმეს, გასწიონ ხალხში პროპაგანდა-აგიტაცია ამ მიზნის განსახორციელებლათ და გამოგზავნონ პირველ სახალხო გვარდიის ბატალიონში—თფილისში ჩასაწერათ საიმედო პირები, რომლებსაც დეკრეტის ძალით სამხედრო ბეგარის მოხდა არ უწევს, ვინაიდან ჯარში გასაწვევი პირები ბატალიონში არ მიიღება. ბატალიონი მოკლე ხანში უნდა შესდგეს. ნუ დააყოვნებთ. ჩქარა ჩაეწერეთ სახალხო გვარდიაში.

**სახ. გვ. მთავარი შტაბის პრეზიდიუმი. სახ. გვარდიის 1-ლი ფეხ. ბატალიონის შტაბი.**

# პარტიული ყრილობების გამო

14 ოქტომბრისათვის თელავში დანიშნული იყო ს. დ. პარტიული სამაზრო კონფერენცია. ასეთი კონფერენციები უკვე მოხდა გორისა და სიღნაღის მაზრებში, და როგორც ვიცით ჩქარა მოხდება საოლქო ს.-დ. ყრილობაც. როგორც ვხედავთ, ჩვენს პარტიას საქმისთვის სერიოზულათ მოუკიდია ხელი და ცდილობს პარტიულ მუშაობის გაძლიერება-გაღრმავებას.

ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ პარტიული მუშაობა არა გვქონია, თუ იყო ისე უმნიშვნელო, რომ არავითარი კვალი არ დაუტოვებია. თუ სოფლათ ანარქია მძვინვარებდა და სხვადასხვა სამწუხარო ექსცესებს ჰქონდა ადგილი ეს აიხსნება უმთავრესათ ჩვენი პარტიული მუშაობის სისუსტით. ამხანაგების, როგორც ინტელიგენტების ისე მუშების, დიდი უმეტესობა ქალაქებში იყვნენ და სოფელში გასვლაზე არა ფიქრობდნენ და თუ თითო-ოროლა ამხანაგი ხანდისხან გავიდოდა სოფლათ, ამას დიდი ნაყოფიც მოჰქონდა.

სოფლის გლეხკაცობა ეხვეოდა პროვოკაციის ქსელში. მას სწორე გზის მაჩვენებელი არავინ ჰყავდა, ის ეძებდა თავის ძველ მეგობარს, ს.-დემოკრატიას, მაგრამ ის იქ არ სჩანდა და იმაზე კი ათასნაირ ჭორებს ავრცელებდნენ. თავბრუ დასხმული გლეხი ხშირათ ხდებოდა მსხვერპლი პროვოკაციისა. ასევე ითქმის პროვინციულ ამხანაგებზე: ისინი გაერთვნენ სხვადასხვა რევოლიუციონურ საქმეებში, თუ დაწესებულებებში სამსახურზე და პარტიული მუშაობა სრულიად მიივიწყეს. დროა პარტიულ მუშაობას ენერგიულათ მოვკიდოთ ხელი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრატიულ თანამდებობაზე დაყენებულ ჩვენს ამხანაგებს, რადგანაც ამ დარგის სამსახური დიდათ განსხვავდება სხვა დარგის სამსახურიდან. ჩემის აზრით, ეს კითხვა უსათუოდ უნდა დაისვას საოლქო ყრილობაზე. ან სრულიად მოიხსნას ჩვენი ამხანაგები ამ თანამდებობიდან ან და საქტიკ კონტროლის ქვეშ დააყენონ. მაგალითად ამ ცოტა ხანში დიდი კონფლიქტი მოხდა თელავის ს.-დ. ორგანიზაციას და მაზრის კომისარის შორის. როცა მას დაუწუნა ორგანიზაციამ ზოგიერთი მოქმედება და გააფრთხილა, პასუხათ მიიღო მისგან: „მე ჩემი ჭკუით დავდივარ და ვემორჩილები მხოლოდ ჩემს უფროსს, მე სხვას არავის ანგარიშს არ გავუწევ“. ესე ესმის ზოგიერთ მოხელეს სამსახური. სამწუხაროთ უარესი ამბები გვესმის სხვა მაზრის მოხელე ამხანაგებზედაც. ეს კითხვა მეტათ სერიოზულია და უნდა გაეცეს სათანადო პასუხი, თორემ დიდათ შეგვიშლის ხელს პარტიულ მუშაობაში.

**სოსო მაჭავარიანი.**

# ყრილობა

**სრულიად საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა წარმომადგენლებისა.**

ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურმა გამგეობამ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირისა, ფრიად საყურადღებო და საჩქარო საკითხების გადასაჭრელად, მოიწვია სარაიონო გამგეობათა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელიც გაიხსნა 20 ოქტომბერს. სხდომას დაესწრო 27 წარმომადგენელი. პრეზიდიუმში შევიდნენ: თავმჯდომარეთ შალიკიანი, მის ამხანაგათ მესხი, მდივნებად ნასიძე და პრულაშვილი. შემუშავებულია შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება ცენტრალური გამგეობისა, 2) მოხსენებანი ადგილებიდან, 3) მატერიალური მდგომარეობა, 4) გაეროვნების საბოლოო გატარება, 5) ახალი ადმინისტრაციის მოქმედება, 6) ბეჭდვითი ორგანო, 7) უწყების შემოსავლის გასადიდებელი საშუალებები და სხვ. სულ 16 საკითხია.

მგრძნობიარე სიტყვით ესალმება კონფერენციას გორის წარმომადგენელი ტ. ინასარიძე გამგეობის სახელით და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას.

ოლქის უფროსი დ. მგელაძე, როგორც მთავრობის წარმომადგენელი თავის მისალმებაში მიუთითებს რესპუბლიკის დღევანდელ მდგომარეობაზე, იმედოვნებს, რომ კრება გამსჭვალება სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით და ყოველმხრივ დაეხმარებიან უწყების გაუმჯობესების საქმეში. შემდეგ კონფერენცია ავალებს პრეზიდიუმს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს მთავრობას და შეუდგა ცენტრალური გამგეობის მოხსენების მოსმენას. მოხსენებას აკეთებს ამხ. შალიკიანი. აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომელიც უდგა წინ ცენტრალურ გამგეობას დღიდან თავისი მოღვაწეობის დაწყებისა და როგორი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ გაეროვნებით უკმაყოფილო ელემენტებმა. რეორგანიზაცია, ნაციონალიზაცია, შტატების შემოკლება და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება—აი ის მთავარი საკითხები, რომელიც მათ პირველმა საქართველოს ფ.-ტ. მოსამსახურეთა ყრილობამ დაავალა და რომლების სასურველათ გადაჭრისათვის იბრძოდა ც. გამგეობა. ეს მიზანი მიღწეულ იქნა და ამის ნაყოფს დღეს ყველა შეგნებული წევრი ჩვენი უწყებისა გრძნობსო. მაგრამ რაც შეეხება ეკონომიურ საკითხს, აქ მთავრობამ თავისი დაპირება პურის მოწოდების შესახებ ვერ შეასრულა.

ამის შემდეგ მომხსენებელი პასუხს აძლევს რამოდენიმე მიცემულ შეკითხვებზე. მუშაობა და ნაყოფი ამ ნაშრომისა ცენტრალური გამგეობისადმი იწვევს საერთო მადლობას და დასტურს. კამათი კონფერენციას მეტათ მიაჩნია და ერთხმათ ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: „ს. რ. ფ. ტ. მოსამსახურეთა წარმომადგენლების კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება ც. გამგეობისა, მოიწონა მათი მუშაობა კავშირის და ამხანაგების სასარგებლოთ, მასთან უცხადებს სრულს ნდობას, მადლობას და სთხოვს განაგრძოს მუშაობა ისევ ენერგიულათ“.

ამ დღის სხდომა ამით დამთავრდა.

**მარკ.**

# მოხსენება

**ქ. ანდრონიკაშვილისა მიწადმოქმედების მინისტრს.**

მიწადმოქმედების სამინისტროს დავალებით უნდა მომეხდინა ყოფილი ნაციონალური მამულებისა და აგრეთვე საუფლისწულო საადგილ-მამულო კომისიის რევიზია კახეთში. დავალების შესრულების დროს ორი კითხვით ვიყავი დაინტერესებული. პირველი: არსებობს თუ არა მამულებში ისეთი სისტემა ორგანიზაციისა, რომელიც ხელს უწყობდეს დღევანდელ პირობებში ამ მამულების კულტურულად გაუმჯობესებასა და შემოსავლის ზრდას; მეორე: თუ არ არსებობს, შეიძლება თუ არა ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი სახელმწიფო შეინარჩუნებს ამ მამულებს მდიდარს ბუნებით და თავისი სივრცით იმ დონამდე, როგორც იყო ეს მამულები, სანამ გადმოვიდოდა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ხელში. ამ ორი კითხვის მიხედვით ვახდენდი რევიზიას.

თვით მოურავების განცხადებით, ვენახების დათვალიერებით და სამეურნეო ადგილების მდგომარეობით დავრწმუნდი, რომ ჯერ ჯერობით ფიქრიც არ შეიძლება იმაზე, რომ დღევანდელ პირობებში შესაძლო იყოს ამ მამულების კულტურულად გაუმჯობესება და შემოსავლის გაზრდა. მხოლოდ მარტო იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ შევინარჩუნოთ ეს მამულები, რადგანაც თავს იჩენს ტენდენცია მათი დაქვეითებისა და გადაგვარებისა. შეუდექი ამ მამულების მდგომარეობის გამოკვლევას და აღმოჩნდა: მამულები დაუმუშავარი, დაუხვნელი, მოუვლელია, რაც შედეგი იყო საქონლის უყოლობის, მუშა ხელის ნაკლებობისა და სხვადასხვა სამეურნეო მასალების უქონლობის, მაგრამ ზევით დასახელებული მიზეზებიც რომ არ იყოს, მაინც შესაძლო არ არის ამ მამულების გაუმჯობესობა, ვინაიდან, როგორც მოურავების განცხადებიდან სჩანს, სრულიად არ არის საკმარისი 8 საათის სამუშაო დღე სამეურნეო დარგში. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ზაფხულში ცხარე მუშაობის დროს მუშები თავს ანებებენ მუშაობას.

მე პრინციპიალურად წინააღმდეგი არა ვარ 8 საათის სამუშაო დღის და თუ პროფესიონალურმა კავშირმა დაადგინა 8 საათის მუშაობა, მაშინ ჩემის ღრმა რწმენით აუცილებელი საჭიროა მორიგეობა. მართალია, ეს უფრო ძვირად დაუჯდება სახელმწიფოს, მაგრამ ეს აუცილებელია, რადგანაც ეს მდიდარი მამული მოუვლელობით დაიღუპება და თუ კარგათ დაჯენდა, სახელმწიფოს მილიონობით მისცემს შემოსავალს.

მამულების გაუმჯობესებას ხელს უშლის აგრეთვე მუშათა კომიტეტების არსებობა, რომელიც არამც თუ იცავს მუშათა პროფესიონალურ კავშირის ინტერესებს, არამედ ერევა მამულის საადმინისტრაციო საქმეებშიც. მაგალითად, წინად არსებობდენ ინსტიტუტის ზედამხედველები, რომელთაც მოურავი აბარებდა მიწის ერთ ერთ ნაჭერს სამუშაოთ, რომლისთვისაც თვალყური უნდა ედევნებინათ მამულის დამუშავებაში და პასუხის მგებელნიც იყვნენ ამ მხრივ. მაგრამ კომიტეტებმა გააუქმეს ეს. მუშა სავალდებულო 8 საათსაც არ მუშაობს, რაც ძლიერ ამცირებს შემოსავალს. შესუსტებულია დარაჯობაც. წინად შტატის მუშა ვალდებული იყო დარაჯად მდგარიყო „ბუტკებში“. დღეს ეს აღარ არის, რის გამო ყურძნის სიმწიფის დროს ხდება ქურდობა, იპარავენ მავთულებს. ამ მიზეზის გამო მუშაობის დროს გუთანს ვერ სტოვებენ სამუშაო ადგილას და მიაქვთ სამეურნეო იარაღების საწყობში. გუთნის ატანას მუშა უნდება 10 წუთი, ჩატანასაც ამდენი, თითქმის ნახევარი საათი მუშის დრო იკარგება და სადილის დროსაც დასასვენებლად 1 საათი, სულ საათ-ნახევარი იკარგება. ასე რომ მუშას ფაქტიურად 8 საათის მაგიერ 6 ნახ. საათი უხდება მუშაობა.

რომ ეს ასე არ იყოს, საჭიროა მთავრობამ იყოლიოს დაცველი რაზმი; თუმცა ეს ძვირად დაუჯდება მას, მაგრამ შემოსავალი უფრო მეტი იქნება და სარგებლობას მეტს მიიღებს მთავრობა.

ზოგიერთ მამულებში, მაგ. მუკუზანში და სხვაგან, ვენახები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და ამის მიზეზი ვაზის სიძვირეა. ჩემის აზრით ეს მამული უნდა გადაეცეს ვინმეს იჯარით, რომ გაუმჯობესოს. შემოსავალი წლეულს მამულებში შარშანდელზე უკეთესია. უნდა ითქვას, რომ ამ მამულების მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა, როგორც გაზეთებში სწერენ.

დასასრულ ვიტყვი მხოლოდ, რომ მოურავები ყველა თავის ადგილზეა; გულწრფელად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და სცდილობენ მამულების გაუმჯობესებას. ესენი არიან: პოპიჩი, თუშმალოვი და კრუპენსკი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს თუშმალოვის მოქმედება, რომელიც მეტის ენერგიით ასრულებს საქმეს.

რაც შეეხება მიწების მიმღებ კომისიებს, ყველა მაზრებზე აქ უფრო მწყობრად მიდის მიწების ჩამორთმევა. გლეხები სიხარულით ეგებებიან მას. თითქმის თავდება მიწების ჩამორთმევა, მხოლოდ იყალთოს რაიონში არ არის ჩამორთმეული, კომისიას მიემატა ახალი ძალები და იმედია თვე ნახევარში ყველგან დამთავრდება მიწების მიღება. საადგილმამულო მიმღები კომიტეტი ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით ჩინებულად ასრულებს თავის მოვალეობას, ახდენენ მიღებულ მამულების რეგისტრაციას, კანცელარია მშვენივრად აქვთ დაყენებული. ალაზნის აქეთ არის ტყის „ლესნიჩი“ სუკერი, რომელიც საქმეს ყურადღებით ეპყრობა; შემოსავალი ამ ტყიდან სეხნიაშვილის თავმჯდომარეობის დროს იყო 4,000 მანეთი, ეხლა კი 30,000 მანეთი. საზოგადოთ ეხლა კომიტეტში ადგილი არ აქვს ისეთ გულგრილობას, როგორც ეს იყო სეხნიაშვილის თავმჯდომარეობის დროს.

# კახეთის რკინის გზა

ამ უკანასკნელ დროს რკინის გზების კომიტეტების წინააღმდეგ ყოველი მხრიდან მოაქვთ იერიშები. ეს იერიშები უფრო გახშირდა მას შემდეგ, რაც მთავრობამ კომიტეტებს ადმინისტრატიული უფლებები შეუზღუდა. რა თქმა უნდა პირველად იმ ელემენტებმა გაილაშქრეს კომიტეტების წინააღმდეგ, რომელნიც თავიდანვე ვერ ეგუებოდნენ მათ არსებობას და ყოველთვის ცდილობდნენ მათ დაცემას. ამათ მალე გვერდში ამოუდგა სოც. ფედერალისტების პრესაც და მთელი კომპანია გააჩაღეს კომიტეტების წინააღმდეგ. „სახ. საქმე“ მ და „სოც.-ფედერალისტებმა“ სულ ტყავი გააძვრეს დიდი გზის მთავარ კომიტეტს ჯერ იმისთვის, რომ თურმე კომიტეტი ფედერალისტების დევნას აწარმოებდა გზაზე და მერე კიდევ იმისთვის, რომ „მესხე“ ნინუას მეოხებით მთავარ კომიტეტს სამსახურიდან დაუთხოვია ექ. მუსხელიშვილი. თუ რამდენად საბუთიანი და სამართლიანია ეს ბრალდებები, ეცოდინება ყველა იმას, ვინც დაესწრო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობას, სადაც ს. ფედერალისტების მიერ წამოყენებული ბრალდებები ციფრებით გააბათილეს.

ხსენებულმა გაზეთებმა დაიწყეს წერა კახეთის რკ. გზის მთავარ კომიტეტის წინააღმდეგაც. იმ ჭორებს და ინსინუაციებს, რაც „სოც.-ფედერალისტში“ იწერება მთავარ კომიტეტსა და მის წევრთა შესახებ, ჩვენ არ გავცემთ პასუხს, რადგან ეს მეტი პატივი იქნებოდა ამ გაზეთისთვის. მხოლოდ ვერ დავტოვებთ უყურადღებოდ ბ-ნ შინაურის წერილს, რომელიც მოთავსებულია „სახ საქმის“ 359 ნომერში.

ბ-ნი შინაური ეხება მთავარ კომიტეტის მიერ გამოტანილ რეზოლიუციის მთავრობის განკარგულების შესახებ და ამბობს, რომ ეს დადგენილება ანარქისტული დადგენილებაა... ქაოსისა და არევ-დარევის გამომწვევიაო და სხვა.

მართლაც, მთ. კომიტეტის რეზოლიუცია, როგორც ასეთი, ძალიან ადვილათ გასაკრიტიკებელია კაბინეტში. მაგრამ ბ. შინაური რომ იცნობდეს კახეთის რკინის გზის მდგომარეობას და შეეძლოს მას მთ. კომიტეტის პრაქტიკულ ნაბიჯების თვალყურის დევნება და დაფასება, მაშინ დაინახავდა, რომ მთ. კომიტეტი ანარქიას და არევ-დარევას კი არ იწვევს გზაზე, არამედ ებრძვის ასეთს და ამით დახმარებას უწევს მთავრობას. ჩვენ შეგვეძლო მრავალი საბუთები მოგვეყვანა ამის დასამტკიცებლად, მაგრამ ამ ჟამად ეს ზედმეტად მიგვაჩნია. მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია მოვახსენოთ ყველა მათ, ვინც ილაშქრებს კახ. რკ. გზის მთ. კომიტეტის წინააღმდეგ, რომ ადმინისტრაცია და კომიტეტი შეთანხმებულად მუშაობენ და ისინი არ ედავებიან ერთმანეთს ადმინისტრატიულ უფლებებზე. ამიტომ ვერ გაგვიგია რას იწუხებენ თავს სოც. ფედერალისტები, რომ თავს ესხმიან მთ. კომიტეტს.

ბ. შინაურმა უნდა იცოდეს, რომ კომიტეტებისაგან ადმინისტრატიული უფლებების ჩამორთმევა უნდა მოეხდინა მთავრობის კომიტეტებთან წინასწარ მოლაპარაკებით და შეთანხმებით. ის ასე არ მოიქცა, კომიტეტი ერთი კალმის მოსმით მოსპო და ამით შეცდომა ჩაიდინა, რაც გულახდილად აღიარა ყრილობაზე მთავრობის თავმჯდომარემ. მთავრობის ამ შეცდომას ალბად განგებ ივიწყებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. არ უწევენ ანგარიშს არც იმ გარემოებას, რომ კახ რკ. გზა ჯერ კიდევ კერძო გზაა და, მაშასადამე, სულ სხვა პირობებში იმყოფება, ვიდრე დიდი გზა. ამიტომ დიდი გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობის დადგენილებები კახეთის რკ. გზისთვის სავალდებულო არ არის. ბ. შინაურს არც ეს სცოდნია.

მაგრამ ბ. შინაურს სულ სხვა რამ აწუხებს. ჩვენს წერილში („თავისუფალ გზა“-ში) ლაპარაკია ადმინისტრაციის „გაწმენდაზე“. ბ. შინაურს კი მოლანდებია სოც. ფედერალისტების დევნა სოც. დემოკრატებისაგან და გაიძახის: „უნდა ვიფიქროთ, რომ აქ სულ სხვაგან არის ძაღლის თავი ჩამარხული. კახეთის რკინის გზაზე, ალბად, ჯერ ვერ მოასწრეს „ერთად ერთ“ პარტიის წევრების მექანიკური გამრავლებაო“ და სხვა.

დამშვიდდით ბ. შინაურო, კახეთის რკინის გზაზე სოც.-ფედერალისტების პარტია ისეთ არარაობას წარმოადგენს, რომ დევნის ობიექტად არ გამოდგება, კიდეც რომ ვინმეს ჰქონდეს ამის სურვილი.

**ვლ. ბ—ძე.**

---

„სახალხო საქმის“ 345 ნომერში ბ. „რკინის გზელი“ ილაშქრებს კახეთის რკინის გზის უმთავრეს კომიტეტის წინააღმდეგ. მე აქ არ შევუდგები იმ აბდაუბდის და ცილის წამების პუნქტუალურათ გაბათილებას, ეს გამოძიებისა და სასამართლოს საქმე იყოს, მაგრამ მემაკვირვებს და ვერ გამიგია ამ შემთხვევაში რედაქციის საქციელი, რომ თავისუფალ პრესაში ასეთ ლათაიებს ადგილს უთმობს და დასამტკიცებელ საბუთებს არა სთხოვს. რკინის გზის კომიტეტი წარმომადგენელი არის რკინის გზის დემოკრატიის და ალტურვილია მისი ნდობით, მაგრამ ამეებს „რკინის-გზელი“ რას დაეძიებს, ის კომიტეტის წევრებს ეზერტირებათ ნათლავს და ძველი რეჟიმის ნანდერძევათ იხსენიებს, კომიტეტის წევრების უმრავლესობა რესპუბლიკის სახელოვანი სახალხო გვარდიის წევრები არიან მარტო სიტყვით კი არა, არამედ საქმით, მათ არა ერთხელ იგემეს სადახლოს, ცხინვალის, დუშეთის, კოდორის ხიდის და ბევრი სხვა ფრონტების მშვენიერებანი, ამ დროს „რკინის გზელი“ ალბათ მხარეთძმოზე წამოწოლილი არხეინათ ოცნებობდა თუ რა სამარცხვინო სახელები გამოეგონებია მისგან ათვალისწინებულ კომიტეტის და წევრებისთვის. „რკინის-გზელი“ ტყუილათ კი არ ამოფარებია ფსევდონიმს, მან იცის მისი წერილის მნიშვნელობა, მან იცის [illegible] მოსთხოვენ და სწორედ ამისთვის იმალება ბნელაში, [illegible] ტალახი ესროლოს კომიტეტს. „რკინის-გზელს“ შესწევს გაბედულება მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელს ბ. ფეცხელაურს, გაზეთში ხელმოუწერელ წერილით მიმართოს ჩვენი გზიდან გაძევებისთვის. შეიძლება „რკინის-გზელი“ სხვა რაიმემ გაიტაცა? იქნებ მას მოეჩვენა, რომ მთავრობა მუშათა ორგანიზაციების განადგურებას შესდგომოდეს. ბ. „რკინის-გზელის“ საქციელი მოგვაგონებს თქმულებას იმ გლეხზე, რომელმაც ბატონს მიმართა: თხოვნით, „რაკი შენ ცოლი არ მოგწონს, მე მიბოძეო“, რისთვისაც მან ბატონისაგან რამოდენიმე ჯოხი დაიმსახურა.

მთავარი კომიტეტის წევრი

**ი. კალანდაძე.**

# ს.-დემ. პარტიაში

**ოზურგეთი.** 14 ოქტომბერს შესდგა ოზურგეთის რაიონ. მორიგი ს.-დ. სხდომა. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება გურიის კომიტ., 2) მოხსენება ადგილებიდან (იაჩეიკებიდან). 3) რაიონული პარტ. ყრილ. მოწვევა, 4) საწევრო გადასახადი, 5) ლალა სახელმწიფო ფონდში შესულ მიწებზე, 6) სარაიონო კომიტეტის არა კანონიერი არჩევნები, 7) გვარდია, 8) ვ. ესაძის შესახებ, 9) მიწის დეკრეტი ქალაქის ფარგლებში, 10) პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. გურიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. მ. საბაშვილმა, მომხსენებელი თავის სიტყვაში უმთავრესათ შეეხო პარტიულ მუშაობას, დახასიათა თუ როგორ მუშაობას აწარმოებდა კომიტეტი ერობის არჩევნების გარშემო, და შემდეგშიაც როგორ განაგრძობს, შეეხო აგრეთვე მომავალ ამიერ კავკ. ორგანიზაც. 3 ნოემბრის ყრილობაზე გასარჩევ კითხვებს, და გაამუქა ის რამდენათაც შესაძლებელი იყო. შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან და შეუდგა კითხვების განხილვას. რაიონული ყრილობის მოწვევა: გადაწყდა 20 ოქტომბრისათვის. ლალის შესახებ კრებამ დაადგინა: ყოველივე ზომა უნდა ვიხმაროთ, რომ მთავრობის დადგენილება იქნას მოყვანილი სისრულეში. საწევრო გადასახადი: ნაცვლათ 20 კაპ. დაწესდეს 50 კაპ. თვეში. არჩეულ კომიტეტის არჩევნების უკანონობაზე: კითხვა გადატანილ იქნას 20 ოქტომბრის რაიონულ ყრილობაზე. გვარდიის შესახებ: დაევალა პრეზიდიუმს, ჩამოართვას გვარდიის შტაბს ყოველივე ანგარიში და მოხსენება გააკეთოს მორიგ კოლექტივის კრებაზე. ვ. ესაძის შესახებ, თუ ვინმეს რაიმე ბრალდება აქვს წარუდგინოს ქალ. თავს ბ. მურვანიძეს. მიწის დეკრეტის შესახებ ქალაქში დადგენილ იქნა: ამხანაგებმა გააკეთონ ვრცელი მოხსენება იაჩეიკებში და აირჩიონ წარმომადგენელი საადგილ-მამულო კომიტეტში საჭირო ცნობების მისაღებათ. დასასრულ მოხდა არჩევნები პრეზიდიუმის. ამავე დღეს ახლად არჩეულ პრეზიდიუმმა გამართა თათბირი და გაინაწილა სამუშაო ფუნქციები. მორიგი სხდომა კოლექტივისა დანიშნულია 27 ოქტომბერს, საღ. 5 საათზე.

**ვლ. ლაშიხპირელი.**

---

**ქ. გორი.** 15 ოქტომბერს შესდგა გორის პირველ რაიონის სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციის წევრთა კრება. კრება გახსნა ამხ. შ. ჯავახიშვილმა. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ვ. ნაგრაზაშვილი, მდივნათ ა. კეკელიძე. ამხ. შ. ჯავახიშვილმა მოკლე სიტყვაში აღნიშნა აწ განსვენებულის რევოლიუციის და ხალხის თავისუფლებისთვის თავგანწირული ამხანაგების ღვაწლი: ს. კეცხოველის, გ. მაჩაბლის, მალიევის და სხვების, რის შემდეგ კრებამ მათ ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა. ამხანაგმა შ. ჯავახიშვილმა გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე. მოხსენება ამხ. ჯავახიშვილის ფრიად საყურადღებო და შინაარსიანი გამოდგა. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ამხანაგი უხსნიდა დამსწრეთ მდაბიო და ხალხური ენით, რაც საშუალებას აძლევდა ხალხს, ყველა მის მიერ ნალაპარაკევის ნათლად და გარკვეულად წარმოდგენისას, უცხო სიტყვებს იშვიათად ხმარობდა, როგორც ეს იციან ხოლმე ზოგიერთმა ჩვენმა მომხსენებლებმა და რაც ძალიან ბევრს ხელს უშლის, მეტადრე უსწავლელ ხალხს მოხსენების თემის შინაარსის მტკიცედ გაგებას და წარმოდგენას. ამის შემდეგ მოახდინეს პარტიის წევრთა გაცხრილვა (რეგისტრაცია), გამოირკვა, რომ გაცხრილვის შემდეგ, პირველ რაიონში ირიცხება 400 დე წევრი. მათ შორის კრებას დაესწრო დაახლოვებით ნახევარზე ცოტათ ნაკლები. ამის შემდეგ მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნა ქ. გორის ს.-დემოკრატიულ კომიტეტში წარმომადგენლებით 3 რეულ რაიონიდან შე-

ლეგი პირები: მ. მარიამიძე, ვ. ნავროზაშვილი, ლ. ზაქარიშვილი, მ. როსებაშვილი, მ. ვაჩეიშვილი და ლ. ბასილაშვილი. ორგანიზატორათ პირველ რაიონიდან აირჩიეს გ. მინაზაროვი: მის ამხანაგათ მ. როსებაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრათ გორის კომიტეტში პირველი პირველ რაიონიდან არჩეული იქნა მ. დობორჯგინიძე, კანდიდატათ ა. კაკულიძე, გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობაზე გასაგზავნათ, რომელიც მოწვეულია ქ. ხაშურში, კრებამ აირჩია შემდეგი დელეგატები: მ. მარიამიძე, ლ. ზაქარიშვილი, ლ. ბასილაშვილი და ი. ახობაძე. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა, რაიონულ პროფესიონალური სექ. და გამგეობის მოსაწყობად აირჩიეს კომისია სამი კაცისაგან, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: მ. როსებაშვილი, გ. ნავროზაშვილი და მ. ვაჩეიშვილი. ამავე კომისიას დაევალა სასურსათო საქმის მოწესრიგება ხსენებულ რაიონში რკინის გზის მოსამსახურეთათვის.

დამსწრე.

# პროვინცია

**თელავის მაზრა.** მე არ ვიცი თუ არის სადმე საქართველოს ტერიტორიაზე ისე უბედური მაზრა, როგორიცაა თელავი. ყაჩაღთა ბრბოები სრულებით თავისუფლათ დანავარდობენ და დანავარდობენ არა მარტო სოფლებში, არამედ თავისუფლათ დათარეშობენ თვით ქალაქ თელავშიაც. აშკარა შეიარაღებულები თავზე დაცემა, კაცის კვლა, და წერილების მიწერა ისე გახშირდა ამ უკანასკნელ დროს, რომ ყური შეეჩვია კიდეც და თუ რომელიმე გამოერია ისეთი ბედნიერი დღე, რომ ძარცვა-გლეჯის შემთხვევა არ მოხდა, ეს რაღაც განსაკუთრებულ დღეთ უნდა ჩაითვალოს. მართალია თელავის მაზრა ძველ დროსაც უბედურ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ის, რასაც ამ ჟამათ ვხედავთ არასოდეს არ ყოფილა. ამის უმთავრესი მიზეზა კი ადმინისტრაციის უმოქმედობაა.

თუ რევოლიუციის დროს, როდესაც ადმინისტრატიული აპარატი ჯერ მოუწყობელი იყო, ბოროტ-გამზრახველთა რიცხვი შემცირდა, ეს თელავის გვარდიის ენერგიას უნდა მიეწეროს, მაგრამ ამ ბოლო დროს გვარდიის საქმეებიც აირდაირია, თვით გვარდიის წევრებშიაც გულგრილობამ იჩინა თავი. რაც შეეხება სამაზრო ადმინისტრაციას, უნდა მოვახსენოთ, რომ თელავის მაზრას ფაქტიურათ არავითარი ადმინისტრაცია არა ყავს. მართალია თელავის მაზრას სამაზრო კომისარიც ყავს, მილიციაც, მაგრამ კომისარი და მისი მილიციონერები მხოლოდ ჯამაგირების მიღებაში გამოხატავენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას, სხვა საქმე, სხვა მოვალეობა მათ ან არ აინტერესებთ, ან და სრულებით არ ესმით. ერთათ ერთი დღე, როდესაც კომისარიატში მილიციონერებს ნახავთ, ეს ჯამაგირების დარიგების დღეა. სხვა დროს იქ იშვიათათ შეხვდებით ვისმეს.

რას აკეთებს სამაზრო კომისარი ბ-ნი მიქელაძე? არაფერს გარდა იმისა, რომ მთელ ღამეებს კლუბში ათენებს და იქ ქაღალდის თამაშს უნდება დილით ნერვებ აშლილი, უძილო მობძანდება კომისარიატში და მომჩივრებს დასჭყივის. აი მისი სამოქმედო პროგრამა. ასეთი პიროვნება უდგია სათავეში მთელ მაზრას და რაღა გასაკვირველია, თუ მოქალაქის პიროვნების ხელშეუხებლობა, ყაჩაღების პიროვნების ხელშეუხებლობათ გადიქცევა.

მაზრა გმინავს უსამართლობისა და ძალმომრეობის ქვეშ. ყველა ბოროტ-გამზრახველი სრულებით თავისუფალია თავის მოქმედებაში და არავის წინაშე პასუხისმგებლობას არა გრძნობს.

რას აკეთებენ ადგილობრივი დემოკრატიული ორგანოები?—იკითხავს მკითხველი.

მიქელაძის საბედნიეროთ ეს ორგანოებიც სუსტობენ და იცის რა ეს ბ-ნმა მიქელაძემ მათ არავითარ ანგარიშს არ უწევს.

— მე მთავრობამ დამნიშნა, პასუხისმგებელიც მის წინაშე ვარ და არავის, არც ერთ ადგილობრივ ორგანოს უფლება არა აქვს ჩემს საქმეებში ჩაერიოს და შენიშვნა გამიკეთოს—აი ბ-ნ მიქელაძის პასუხი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი მიქელაძე, როცა ასე რიხიანათ გვითითებს მთავრობაზე, მეხსიერება ღალატობს, რადგან მიქელაძის კანდიდატურა სამაზრო კომისარის ადგილზე თელავის ს. დ. ორგანიზაციამ წამოაყენა, როგორც პარტიის წევრის და მიიღო რა თელავის თავდაცვის კომიტეტმა მიქელაძის კანდიდატურა, წარუდგინა მთავრობას დასამტკიცებლათ. მაგრამ ეს სხვათა შორის.

ვიმეორებ, მაზრა აუწერელ მდგომარეობაშია, მას პატრონი ესაჭიროება. რაც შეიძლება ჩქარებით უნდა მოხდეს სამაზრო ადმინისტრაციის საქმეების მოწესრიგება და ახალი, საქმეზე გულ შემატკივარი პირების გამოძებნა. აგრეთვე მივმართავ თფილისის სახალხო გვარდიის უმთავრეს შტაბს ყურადღება მიაქციოს თელავის გვარდიას, გამოუგზავნოს მას გამოცდილი ხელმძღვანელი, რომელმაც ამავე დროს უნდა იკისროს გვარდიის უფროსობა, რომ გვარდიამ და ადმინისტრაციამ შეერთებული ძალით შეუტიონ ყაჩაღთა ბრბოებს. სხვა გზა, სხვა გამოსავალი, გარდა ამ ორი ძალის საქმეების მოწესრიგებისა მაზრაში წესიერების აღსადგენათ არ არსებობს.

ერთი გვარდიელთაგანი.

**გორი.** მაზრის კომისრის განკარგულებით შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს გორის მაზრის მილიციის უფროსი შტ.-კაპიტანი კიკაჩეიშვილი, მას ბრალდება სამსახურის დროს სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა ჩადენა.

საქონლის ჭირი ყველა რაიონებს მოედო. განსაკუთრებით საშიში სახე მიიღო მან ბორჯომ ბაკურიანის ხეობაში. გლეხები მოკლებული არიან საშუალებას შესაფერი ზომები მიიღონ, რადგანაც შრატი (ასაცრელი წამალი) არ მოიპოვება, ამ გარემოებით სარგებლობენ ცრუ ვეთილ-ექიმ ფერშლები, აწვდიან ხალხს ვითომდა წამალს და დიდ ფულს სტაცებენ. საჭიროა ამ ახალ-მოდის შანტაჟისტების წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნას მიღებული.

ერობის არჩევნები, გარდა მთის ოსების რაიონისა, დასრულდა. ჯერ ჯეროვბით არჩეულია 40 ხმოსანი. აქედან: 1 ნაც.-დემოკრატი, 1 დაშნაკცაკანი, 2 ფედერალისტი და 36 სოციალ-დემოკრატი.

15 ოქტომბერს გორში სახალხო გვარდიის სამაზრო შტაბის და მაზრის კომისარის ინიციატივით მოწვეულ იქნა ყველა რაიონის კომისრებისა და რაიონულ შტაბების წარმომადგენელთა კრება. კრებამ მრავალი საჭირბოროტო კითხვები გაარჩია და მიიღო შესაფერი დადგენილებები.

ცხინვალში მდგომი სახალხო გვარდიის რაზმი მოახსნა. ამან ეტყობა წაათამამა ბნელი ძალები და ძარცვა-გლეჯა, თავდასხმებმა იმატა. ცხინვალისა და ოსეთის რაიონის კომისრები: ზოცვაძე და ცხოვრებოვი ენერგიულ ზომებს იღებენ, მაგრამ რადგანაც ამ რაიონებში იარაღი ძალიან ბევრია, ჯერ ჯეროვნით მისი აყრა ვერ მოხერხდა, კომისრები მცირე-რიცხოვან მილიციით უძლურნი არიან ყაჩაღების ალაგმვაში. ამიტომ მაზრის კომისარმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნიის კომისრის წინაშე, რათა დროებით გადიდებულ იქნას მილიციის შტატი ას ას კაცამდე. საჭიროა მთავრობა ყურადღებით მოეპყრას ამ საკითხს.

—ნორა.

**ქ. ყვირილა.** 11 ოქტომბერს ყვირილის დეპოში შესდგა კრება ყვირილა აჯამეთის რკინის გზის მუშა მოსამსახურეებისა. დღის წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე, 2) მოხსენება დელეგატისა რკ. გზის ყრილობის შესახებ მუშაობისა, 3) მოხსენებები: ადგილობრივი კომიტეტისა, 4) ხაზინადრის, 5) სასურსათო, 6) სარევიზიო კომისიის და 7) დადასტურება კრების მიერ კოოპტაციით შეყვანილი ოთხი პირისა კომიტეტში სამუშაოდ.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა პ. გოგიაშვილმა. კრება ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: „აღტაცებით ვხვდებით ევროპაში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს, გერმანიის მიერ წამოყენებულ დემოკრატიულ ზავის პირობებს. ფიცს ვსდებთ მთავრობის წინაშე დავეხმაროთ მას შინაურ და გარეშე მტრის წინააღმდეგ, რესპუბლიკანურ წესების გამაგრებაში".

მეორე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს დელეგატი უშვერიძე. მოხსენება არ იწვევს კამათს. შეკითხვების შემდეგ კრება ღებულობს რეზოლიუციას: „ყვირილა აჯამეთის რაიონის რკ. გზ. მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება შესახებ საქართველოს რესპუბლიკის რკ. გზ. ყრილობის მუშაობისა, ადასტურებს მას და ეცდება ცხოვრებაში გაატაროს ყრილობის დადგენილებანი. მადლობას უცხადებს მთავარ კომიტეტს მის დაუღალავ შრომისთვის, ახლად არჩეულს კი უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას რკ. გზ. დემ. საკეთილდღეოთ".

შემოსულ წინადადების თანახმად კრება სცვლის დღის წესრიგს და მესამე კითხვათ არჩევს სარევიზიო კომისიის მოხსენებას. კომისიაში დარჩენილა მხოლოდ ბ. ვახიროვი, რომელიც კრებას უდგენს რევიზიის შესახებ მხოლოდ მის მიერ ხელმოწერილ აქტს. კრება ირჩევს გაბუნიას და კაკულიძეს და ვახიროვთან ერთად ანდობს მათ რევიზიის მოხდენას. კოოპტაციით კომიტეტში შეყვანილ ოთხი პირის დამტკიცება კრებამ უარყო. სხვა კითხვები გადაიდო შემდეგისთვის.

ვ. ქ.

# წერილები რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ერთობაში" ჩემს წერილს. დღემდის როგორც დაჭრილს არ მქონდა საშუალება მკითხველებისთვის მიმეწოდებინა საქმის შინაარსი. 4 ოქტომბერს ღამით მეცხრე კომისარიატის უბანში ვიღაც ბოროტგამზრახველები თავს დაესხნენ მილიციონერებს და დასჭრეს ზოგიერთები. ამის გამო დაეძებდენ ვიღაც დუმბაძეს, რომელიც ყოფილა ცნობილი ყაჩაღი. ღამის ორ საათზე მე დამესხენ თავს სასტუმრო „ანგლეტიორში" რამოდენიმე მილიციონერები, მეცხრე კომისარიატის კომისრის თანაშემწის ბ. ქუთათელის მეთაურობით და დაუკითხავათ და გამოურკვევლათ ამიტეხეს სროლა იმ ოთახში, სადაც მე ბინა მქონდა თითქმის ერთ თვეზე მეტია. პირველ სროლაზე დავიჭერი მარცხენა ფეხში და დილის ექვსის ნახევრამდის ისროდნენ. იქვე სასტუმროში ცხოვრობდა სტუდენტი ნასიძე და იმის მეოხებით, როგორც იქნა, ბ. ქუთათელი და მისი ამხანაგები დარწმუნდნენ, როდესაც ჩემი დოკუმენტები გაიტანა თვით ნასიძემ, რომ მე ის დუმბაძე არ გიყავი. მე ვერ წარმომიდგენია მაინც ასეთი მოქმედება ადმინისტრაციისა. ეს დიდი დანაშაული და პასუხსაგებია, მაგრამ მას აქეთ გავიდა ოცი დღე და არავინაც არ მოსულა და არ დაუკითხივარ. ოთახში შემოსვლის დროს ადმინისტრაციის წევრმა გაიტაცა ან წაიღო ჩემი შემდეგი ნივთები და დოკუმენტები, რომელიც მას აქეთ არ ჩანს. ეს უკვე განვუცხადე პირადათ მილიციის უფროსს.

1) ქუდი (ფაფახი—ღირებული 300 მანეთად). 2) საფულე და ფული 142 მან. 50 კ. საფულეში იყო შემდეგი დოკუმენტები: 1) ქუთაისის სამხედრო ნაწილის უფროსის მიერ მოცემული მოწმობა 12 თებერვლის ჩემი განთავისუფლების გამო; 2) იარაღის ნებართვა მთავარი შტაბიდან და თფილისის გუბერნიის კომისარიატისაგან მოცემული 10 ივნისს; 3) ფულის კვიტანცია შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის ივანე ჩუბინაშვილის ხელმოწერილი ოცდა ათი ათას ხუთასი მანეთის; 4) ფულის კვიტანცია ხელმოწერილი ქრისტეფორე ფირცხელაურის მიერ ათასი მანეთის, რომელიც მიიღო მან, ფირცხელაურმა ჩემგანით კოლია მელიქოვის სათავდებო ფული; 5) ფულის კვიტანცია მიცემული მცხეთის კომისარის კილურაძის მიერ, რომელმაც მიიღო ჩემგან 27 ივნისს ოთხასი მანეთი ივნისის ჯამაგირი. პირადი მოწმობები ბათუმის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოებისა; პირადი მოწმობები თფილისის კომისარიატიდგან და ატესტაცია მიცემული 4 აგვისტოს, 1918 წ. ყველა არ მახსოვს.

ზემო ჩამოთვლილ დოკუმენტებს დღეის რიცხვიდან ვაცხადებ გაბათილებულად, ხოლო ქუდს, საფულეს და ფულს კერძოდ მითვისებულად და მოპარულად.

პატივ. ვანო გიორგის ძე დუმბაძე.

**პასუხად ბათუმის ქალაქის მოსამსახურეთ ეგ ურუშაძეს, ა. სიხარულიძეს, იოს. ერქომაიშვილს და მარიამ მამულაიშვილს.**

გაზეთ „ერთობის" № 214-ში მოთავსებული იყო თქვენი შეკითხვა ბათუმის ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის მიმართ: თქვენ სთხოვთ გამგეობას კავშირის კასის ანგარიშების გამოქვეყნებას. ამ სამართლიან მოთხოვნის გამო მე, როგორც გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე, მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს განვაცხადო შემდეგი: როცა, როგორც მახსოვს, ამა წლის თებერვალში ახალი გამგეობა აირჩა და მე მიმიწვიეს თავმჯდომარეთ, ფუნქციების განაწილების დროს გამგეობამ ხაზინადრათ დასტოვა წინანდელი გამგეობის ხაზინადარი ბ-ნი სიორიძე, მდივნათ კი ბ-ნი ანანიევი, რომელთა ხელში იმყოფება ეხლაც საქმის წარმოება და კასის ანგარიშებიც. ყოველივე ცდამ, რომ გამგეობას ბათუმის დაცემის შემდეგ თავი მოეყარა უნაყოფოთ ჩაიარა. გაზეთ „ერთობის" საშუალებით (იხ. № 145) ბ-ნ ანანიევს ოფიციალურად მოვსთხოვე ეცნობებია თავისი ადრესი, მაგრამ მისგან პასუხი ვერ მივიღე. შემდეგ მაცნობეს, რომ ბ-ნი სიორიძე და ანანიევი თითქოს იმყოფებიან ბათუმში. თუ ეს მართალია, მათგან ანგარიშების მიღება ფრიად საძნელოა. ამასთან თითოეულმა მოსამსახურემ კარგად უწყის, რომ საწევრო ფულს ქალაქი მოსამსახურეებს ჯამაგირებიდან უკლებდა და ეს ფული უკლებლათ ირიცხებოდა ქალაქის კასაში. ამნაირათ არც გამგეობასა და არც მისი ხაზინადრის და მდივნის განკარგულებაში არც ერთი კაპეიკი არ იყო. კავშირის მთელი თანხა ეხლაც ქალაქის კასაზე ითვლება. უკანასკნელი კი ვალდებულია ხსენებული ფული მოსამსახურეებს აუნაზღაუროს. ქალაქის კასა ქუთაისშია და მის მოლარეთ ითვლება ბ-ნი ვინიცკი.

რადგან ბათუმის დაცემის შემდეგ გამგეობის წევრნი დაიფანტნენ სხვადასხვა ქალაქებში და ამავე დროს უმწეოთ დარჩენილ მოსამსახურეებს ესაჭიროებოდათ ხელმძღვანელი ორგანიზაცია, ამიტომ ივნისში ქუთაისში მყოფ მოსამსახურეებმა აირჩია დროებითი ორგანო. მე კიდევ შევეცადე სიორიძისა და ანანიევის საშუალებით ყოველივე ანგარიშები ამ კომისიისთვის გადამეცა, მაგრამ ეს ჩემი ცდა უნაყოფოთ ჩატარდა.

ყველა ზემოხსენებული მიზეზებისა და აგრეთვე უდროობის გამო მე საშუალება არ მაქვს გაუძღვე მოსამსახურეთა საქმეებს და ვსთხოვე ქუთაისის კომისიას მიიღოს ზომები რომ ქალაქის კასამ გადასცეს მას კავშირის ყოველნაირი თანხები და აგრეთვე მიიღოს ანგარიშები ამხ. ანანიევისა და სიორიძისაგან. კომისიის თავმჯდომარეთ უნდა ითვლებოდეს ბ-ნი ლორთქიფანიძე. ამასთანავე ვაუწყებ დაინტერესებულ პირთ, რომ მოსამსახურეთა ერთი ჯგუფის მიერ აღძრულია შუამდგომლობა ბ-ნ შრომის მინისტრის წინაშე, რომ უმწეოთ დარჩენილ ბათუმის ქალაქის მოსამსახურეებს მთავრობამ გაუწიოს შესაფერი დახმარება. ამ საქმის მოგვარებაში და აგრეთვე სხვაშიაც, თუ რაიმეს დამავალებენ, მე, რამდენათაც შევძლებ და დრო ნებას მომცემს, მზათა ვარ ყოველგვარი დახმარება გაუწიო, როგორც ხსენებულ კომისიას, აგრეთვე კერძოთ ამა თუ იმ მოსამსახურეს. ჩემი მისამართი: ოზურგეთი. ერობის გამგეობა.

ბათუმის ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე

ალ. წულაძე.

# განცხადებანი


ექიმი
**ლ. ა. სარალიძე**
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი
**გ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ № 32.

კბილის საექიმო კაბინეტები
**თედორე ხაუვარილის ძე ცხოველიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

**ექიმი მ. ზ. მზალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

სამკურნალო კაბინეტი
**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**
**პეპელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნორდ"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და [illegible] 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავადმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი
**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავადმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**
იღებს [illegible] 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; [illegible]

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. წავდათოვის ქუჩა № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

ექიმი
**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ № 14.

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, ბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—08.

**ექიმი მ. ა. შაშიანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

**ქ. ხ ო ნ ი.**
**ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალალანია.**
იღებს ავადმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

**მედ. დოქ. რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. მ. ლევენშტეინისა.**
ავადმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექის ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.


## მეოთხე რაიონის კოლექტივი

ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე ბიუროს ბინაში (მე-6 სავაჟო გიმნაზია, უდელის ქუჩა, № 8) იწვევს აღნიშნულ რაიონის ს. დ. მ. პარტიის წევრთა

## საზოგადო კრებას

განსახილველია: 1) მომავალ საოლქო ყრილობის დღის წეს რიგი,
2) დელეგატების არჩევა ყრილობაზე გასაგზავნათ.
ყრილობის კითხვების შესახებ მოწვეულია სპეციალური მომხსენებელი.
ვსთხოვთ წევრებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.

კოლექტივის პრეზიდიუმი.

კვირას, 27 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში (მიხეილის ქ. № 91) შესდგება ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა

## საზოგადო კრება

დღის წეს-რიგი: 1) კოლექტივის მოქმედება, 2) კოლექტივის წევრთა ხელახალი არჩევნები, 3) თფილისის კომიტეტის წევრთა არჩევნები, 4) პარტიული ყრილობის დელეგატების არჩევნები.


გამოვიდა და იყიდება
**მოკლე თვითმასწავლებელი**
**გერმანული ენისა.**
ფასი ერთი მანეთი. გამოცემის საწყობი: საქართველოს მთავრობის სტამბა, კალოუბნის ქ. № 5. (3—1)


## სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტთა გამგეობა აცხადებს, რომ გადაწყვეტილია უნივერსიტეტთან მოეწყოს სადამოთობით ჩაი; ვისაც სურს ეს საქმე აიღოს, წერილობითი განცხადება უნდა შემოიტანოს უნივერსიტეტში სტუდენტთა კავშირის გამგეობის სახელზე, 27 ოქტომბრამდის. პირობებს გაგება შეიძლება საღ. 6—8 ს. შეჯიბრება მოხდება ახლო მომავალში.

მე-4-ხე ბატარეის 2-რე ბრიგადისთვის

## საჭიროა მწერალი

სავალდებულოა ცოდნა ქართული წერა კითხვისა. ჯამაგირი 300 მანეთი თვეში. მისამართი: საბურთალოს ყაზარმები. (2—1)

მე-4-ხე ბატარეის 2 რე ბრიგადისათვის

## საჭიროა მკერავი

პირობების გაგება შეიძლება საბურთალო, 4 ხე ბატარეის ყაზარმებში. (2—1)

მე 4 ხე ბატარეის 2-რე ბრიგადისათვის

## საჭიროა მჭედელი

ჯამაგირი 250 მან. თვეში. მისამართი: საბურთალოს ყაზარმები. (2—1)

## სურამის ქალაქის თვითმართველობა

აცხადებს, რომ ქ. სურამში ამ წლის 1 ნოემბრიდან იხსნება პირველდაწყებითი

**უმაღლესი სასწავლებელი** (პირველი ორი კლასი)

ვაჟების და ქალებისთვის. მსურველ მოწაფეთა თხოვნები უნდა გამოგზავნონ სურამის ქალაქის სასკოლო კომისიის წევრის კ. ს. წუწუნავას სახელზე, ხოლო მასწავლებლებმა—ქალაქ სურამის გამგეობის სახელზე.

(5—4) სურამის ქალ. გამგეობა.